ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 15 თებერვალი, 2016 №37 (6963) ფასი: 50 თეთრი

## ვახტანგ მაისაია: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კავკასიაშიც გადმოვა“

გვ.4



# „შემოდგომაზე ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას გადაიბარებს“

## ნუგზარ წიკლაური: „ქართულ ოცნებასთან“ არანაირ გარიგებაში შესვლას არ ვაპირებთ“



გვ.2



„ციხისძირში ივანიშვილის თავგასულობას ვუპირისპირდებით“

## გია ცაგარეიშვილი: „ამომრჩევლის 60% გაურკვევლობაშია“

გვ.3



„მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლება მაინც ცდილობს, თავისი წინამორბედის ზოგიერთი ნაბიჯი გაიმეოროს, გარკვეული ელემენტები სახეცვლილად შეინარჩუნოს და არსენალში ჰქონდეს “

## სოსო შატბერაშვილი: „საქართველო პროდასავლური ნეიტრალური სახელმწიფო უნდა გახდეს“

გვ.5



„რუსეთი და თურქეთი საქართველოს აქეზებენ“

გვ.7



## სანდრო ბრეგაძე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს

„ერთსქესიანთა ქორწინებაზე პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობაა“

ISSN 1987-9385



## სოხუმელი კაზაკების ატამანი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა

გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „შემოდგომაზე ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას გადაიბარებს“

შორენა მარსაგიშვილი

## ნუგზარ წიკლაური: „ქართულ ოცნებასთან“ არანაირ გარიგებაში შესვლას არ ვაპირებთ“



ღირს თუ არა 3 ასწლოვანი ხის გადარგვის გამო ამხელა აჟიოტაჟის ატეხა, რას ვერ იხსენებს ივანიშვილი, რა აქციებს გეგმავს ნაცმოძრაობა, რას აპირებს სააკაშვილი, არის თუ არა რაიმე გარიგებები ხელისუფლებასთან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.

***– ნაციონალურ მოძრაობას ციხისძირიდან 3 ხის გადარგვაზე ერთი ამბავი აქვს ატეხილი. მესმის, რომ ეს ეკოლოგიას პრობლემებს შეუქმნის, მაგრამ მაშინ, როცა ქვეყანას ამდენი პრობლემა აქვს, როცა მტერი, როგორ ნაციონალებს უყვართ ხოლმე ამის თქმა, დედაქალაქიდან 40 კილომეტრშია, ამ თემისადმი ასეთი აჟიოტაჟი გამართლებულია?***

– ოლიგარქის ხუშტურების დაკმაყოფილების გამო ციხისძირში ეკოლოგიას სერიოზული ზიანი მიადგა, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. დადასტურდა, რომ ეს სამუშაოები ყოველგვარი ნებართვის გარეშე ხორციელდებოდა.

სინამდვილეში დღეს ციხისძირი არის არა მხოლოდ ხეების დაზიანების ადგილი, არამედ ის არის ბიძინა ივანიშვილის თავგასულობის სიმბოლო, რომელიც ამბობს, რომ ამ ქვეყანაში იმას გააკეთებს, მხოლოდ კი არ ამბობს, აკეთებს კიდეც, რაც მოესურვება. ის ნებისმიერ გადაწყვეტილებას სახელმწიფო სტრუქტურებისგან კანონიერად გაცემული ნებართვის გარეშე იღებს.

ხეების გადარგვას, მოგეხსენებათ, საპროტესტო აქციები მოჰყვა. აქციის მონაწილე 7 პირი დააკავეს, 13 თებერვალს კი სამუშაოები შეაჩერეს, რადგანაც გაირკვა, რომ ხეების ამოთხრის პროცესი უკანონოდ ხორციელდებოდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყანაში მოქმედებს არა კანონი, არამედ ერთი ადამიანის ნება. ჩვენ როდესაც არაფორმალურ მმართველობაზე ვსაუბრობთ, სწორედ იმას ვგულისხმობთ, რომ ქვეყანაში გადაწყვეტილებები ერთი ადამიანის ახირებების დასაკმაყოფილებლად მიიღება.

***– თქვენ ამბობთ, რომ სამუშაოები უკანონოდ ხორციელდებოდა. ხელისუფლება საპირისპიროს ამტკიცებს. აჭარის მთავრობის მეთაური მაგალითისათვის აცხადებს, რომ ხე არის მოძრავი ნივთი და მისი გადატანა ყველგან შეიძლება.***

– ხაზაზის განცხადებაც იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება, ბოდიშს ვიხდი ჟარგონისთვის, ყველა მეთოდით ცდილობს ივანიშვილის ხუშტურების გაპრავებას. ოღონდ ოლიგარქი გაამართლონ და იმასაც იტყვიან, რომ ხე საკუთარი სურვილით გადადის ციხისძირიდან სხვა ადგილას.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში პრემიერ-მინისტრებს ირჩევს არა პარლამენტი, არამედ ეს არის ივანიშვილის დავალება. ის თუ იტყვის, რომ კვირიკაშვილი აღარ უნდა იყოს მთავრობის მეთაური, რა თქმა უნდა, ახალს დასვამენ.

დიქტატურა ქვეყნისთვის ყოველთვის მიუღებელია. გაცილებით უფრო საშიშია არაფორმალური დიქტატურა, როცა ადამიანს, წესით, არანაირი ბერკეტი არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილებების მისაღებად.

***– გინდათ თქვათ, რომ ქვეყანაში დღეს არაფორმალური დიქტატურაა?***

– არაფორმალური დიქტატურაა, ქვეყანას ჰყავს მთავრობა და პარლამენტი, მაგრამ ერთიც და მეორეც არის დისფუნქციური, რადგანაც გადაწყვეტილებებს მხოლოდ ერთი ადამიანი – ოლიგარქი ივანიშვილი იღებს.

***– ამბობთ, დიქტატურააო, მაგრამ ამ დროს ოპოზიცია ძალიან ღიად აფიქსირებთ თქვენს პოზიციებს, აქციებსაც უწყობთ, როგორც თქვენ თქვით, არაფორმალურ დიქტატორს და ხეების გადათხრის პროცესიც შეუჩერეთ.***

– როდესაც პარლამენტი და მთავრობა დისფუნქციურია, ასეთ შემთხვევაში ხალხი სულ უფრო აქტიურად ერთვება პოლიტიკურ ბრძოლაში. ეს გამოიხატება სხვადასხვა აქციებსა და თუ მიტინგებზე, საბოლოო ჯამში კი ხალხი თავის ნებას არჩევნებზე გამოხატავს.

ის ხალხი, რომელიც 4 წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა ასე მწარედ მოატყუა არჩევნებზე, აუცილებლად გამოხატავს თავის ნებას შემოდგომაზე. ჩვენ შევძლებთ და არჩევნების გზით გავისტუმრებთ იმ ადამიანს, რომელმაც ქვეყანას რეგრესისა და უკანდახევის მეტი არაფერი მოუტანა.

***– 13 თებერვალს ივანიშვილი იმყოფებოდა ციხისძირში. თქვენც გინდოდათ მასთან შეხვედრა, რომ რაღაც გეთქვათ. სოციალურ ქსელში წუხილს გამოთქვამდით, ვერ ჩავუსწარიო და რაიმე მნიშვნელოვანი უნდა გეთქვათ?***

– კარგი იყო, ჩამესწრო, სათქმელს, რომ მენახა, პირადად ვეტყოდი. ახლა რა ვთქვა, როგორც ამბობენ, ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა არასწორი საქციელი მგონია.

***– ეჩხუბეთო, არ მითქვამს, უბრალოდ, ის გვაინტერესებს, რატომ მიიჩქაროდით მისკენ ასე.***

– სხვა დროს ვეტყვით სათქმელს. ახლა რადგან ვერ მივასწარი, დარჩეს ასე. მთავარ სათქმელს მას ხალხი შემოდგომაზე ეტყვის. ახლა ჩვენ ისევ ბათუმში ვრჩებით, ციხისძირში კი ხეების დასაცავად მორიგეობაა დაწესებული. იმ შემთხვევაში, თუ უგუნურ გადაწყვეტილებას მიიღებენ და იქაურობის გადათხრას განაახლებენ, ასეულობით ადამიანის მობილიზებას მოვახდენთ.

***– ასეულობით ადამიანში ნაციონალური მოძრაობის წევრებს გულისხმობთ?***

– დიახ. დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი მოსახლეობაც შემოგვიერთდება. გააქტიურდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც, მათ შორის არიან მწვანე ალტერნატივა და პარტიზანი მებაღეები. რამდენიმე ადგილობრივი არასამთავრობოც გეგმავს საპროტესტო აქციების გამართვას.

საბოლოო ჯამში, მე ასე მგონია, ხალხი შეძლებს კონსოლიდაციასა და ოლიგარქის თავგასულობას აღკვეთას, რომელსაც თავისი საარჩევნო დაპირებები აღარც კი ახსოვს და ამტკიცებს, ასეთი რამ არსად მითქვამსო.

***– იპოთეკარებთან დაკავშირებულ განცხადებას გულისხმობთ? ციხისძირში მან თქვენს თანაპარტიელებს უთხრა, იპოთეკარებს არაფერს დავპირებივარო.***

– ამ შემთხვევაში იპოთეკარებზე ვსაუბრობ, მაგრამ ყველა დაპირება გადათქვა. ჯერ კიდევ გასულ წელს მან განაცხადა, რომ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ხალხს დაჰპირდა. საბედნიეროდ, ყველას გვაქვს თვალები, ყურები, მეხსიერება და გვახსოვს, როგორი დაპირებები იყო.

ოლიგარქი პირობას დებდა, რომ შემცირდებოდა გადასახადები, გაიზრდებოდა პენსიები. უამრავი დაპირება იყო და არცერთი არ შესრულდა. ბოდიშის მოხდის ნაცვლად უტიფრად იძახის, არ დავპირებივარო.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გიორგი კვირიკაშვილი: „ევროპული გზის გარდა, ალტერნატივა არ გვაქვს“



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიუნხენში ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა.

– ჩვენთვის აუცილებელია, რომ ვიზების ლიბერალიზაციის პროცესში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები სათანადოდ იყოს დაფასებული, რათა შევინარჩუნოთ საზოგადოების ერთიანობა და კონსოლიდაცია ევროპული ღირებულებების გარშემო, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თემატურ პანელზე „სამომავლო მიმართულება ევროინტეგრაციისაკენ“.

დისკუსიის მოდერატორის, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრ სებასტიან კურცის შეკითხვის საპასუხოდ გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს ევროინტეგრაციის მიზნები და ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესი კიდევ ერთხელ განმარტა.

– ჩვენ ვმუშაობთ ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციაზე ევროკავშირთან დაკავშირებული მიზნების გარშემო. მაგალითად, ვიზების ლიბერალიზაცია: ჩვენ წარმატებით შევასრულეთ სამოქმედო გეგმის ყველა ტექნიკური მოთხოვნა, საქართველოს მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც ზოგჯერ შეიძლება არც იყოს პოპულარული ტრადიციულ საზოგადოებაში. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ ამ ძალისხმევის აღიარებას, – აღნიშნა პრემიერმა.

მან ასევე უპასუხა შეკითხვას: რატომ არის ევროპა მიმზიდველი საქართველოსთვის? მისი თქმით, საქართველო აშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს და აქვს მხოლოდ ერთი ალტერნატივა – ევროპული მომავალი.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ჩვენ არ გვაქვს ალტერნატივა, ჩვენ არ გვაქვს სხვა გზა, გარდა ევროკავშირთან დაახლოებისა, ევროპული ღირებულებების შესისხლხორცებისა და ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციური დემოკრატიის აშენებისა. სწორედ ამიტომაც არის ჩვენთვის აღიარება ძალიან მნიშვნელოვანი თანმიმდევრულობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად. ეს არის ჩვენი გზავნილი, რომ ვიზების ლიბერალიზაციის პროცესის დასრულება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგანაც თავისუფალი ვაჭრობა შეუძლებელია, თუ საქართველოს მოქალაქეებს, ქართველ ბიზნესმენებს არ ექნებათ ევროპაში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა. ჩემი აზრით, ეს ჩვენ მიერ აქამდე მიღწეული წარმატებების იდეალური გაგრძელება იქნება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნიუპოსტი

## ჰააგის სასამართლოს პროკურორის ჯგუფი თბილისში 27 თებერვალს ჩამოდის



პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, ცნობილი ხდება ჰააგის პროკურორ ფატუ ბენსუდას ჯგუფის თბილისში ჩამოსვლის თარიღიც. ევროპელ გამომძიებლებს საქართველოში 27 თებერვალს ელოდებიან.

– საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლემ მოინდომა გაცნობითი შეხვედრა, იყო საუბარი იმაზე, რომ საქართველომ მაქსიმალურად ითანამშრომლოს ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ვისაუბრეთ ვიზიტის დროზეც. 27 თებერვალს მათი ჯგუფი ჩამოდის და იუსტიციის სამინისტრო ჩვეულებრივ რეჟიმში გაუწევს პარტნიორობას, – განაცხადა პრემიერმა.

ნიუპოსტი

# ცხინვალმა აგვისტოს ომის გამოძიება განაახლა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო გენერალურმა პროკურატურამ განაახლა 2008 წლის აგვისტოში ოკუპირებულ ტერიტორიაზე „რესპუბლიკის“ მოსახლეობის წინააღმდეგ საქართველოს მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულის ფაქტზე გამოძიება“. ამის შესახებ ინფორმაციას ოსური მედია ავრცელებს.

– საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურაში შემოვიდა 2.850 განაცხადი. მოცემულ მომენტში მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლების, შსს-ს ქვედანაყოფებისა და სახელმწიფო დაცვის თანამშრომელთა დაკითხვა.

მოწმეთა სახით ასევე დაიკითხებიან ის მცხოვრებლები, რომლებიც 8-11 აგვისტოს პერიოდში რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ და ქართული არმიის გადაადგილების, მათი ცხინვალში შეჭრისა და სახლების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების დაცხრილვის მოწმეები გახდნენ, – აცხადებენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო გენერალურ პროკურატურაში.

გამომძიებლები ასევე დაკითხავენ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ სამხედრო დანაშაულების ფაქტებს. გამოძიების ფარგლებში ჩატარდება რიგი სასამართლო ექსპერტიზა, მათ შორის ბალისტიკური, სამედიცინო და ასე შემდეგ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ცაგარეიშვილი: „ამომრჩევლის 60% გაურკვევლობაშია“

**ნათია ხურცილავა**

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კოალიციაში დაპირისპირება არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამძაფრდება.





***— ბატონო გია, გავრცელებული ხმებით, შეიძლება კოალიციაში „მრეწველები“ და „ფორუმი“ არ იყოს მომავალ არჩევნებზე წარმოდგენილი. ასევე არ არის გამორიცხული, სხვა ტიპის საარჩევნო ბლოკი შეიქმნას. ეს რამდენად იქონიებს გავლენას არჩევნებზე, მაგალითად, თქვენს პარტიაზე?***

— მდგომარეობა აბსოლუტურად არაპროგნოზირებადია. მე რაც არჩევნებში ვმონაწილეობ, ასეთი არაპროგნოზირებადი სურათი არ მახსოვს. კონკურენცია საკმაოდ დიდია. ეს ძალიან კარგია, რაც ამომრჩეველს აძლევს საშუალებას, არჩევანი ობიექტურად გააკეთოს. ფორსმაჟორში უწევდა ხშირად ამომრჩეველს გადაწყვეტილების მიღება, არჩევნები 3-4 თვით ადრე ინიშნებოდა და სრული საარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობა არ იყო. ახლა მდგომარეობა შეცვლილია. ჩვენ ვიცით, რომ არჩევნები ოქტომბერში იქნება და მანამდე არჩევნები მოსალოდნელი არ არის.

ასევე ამ არჩევნებს გამოარჩევს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს არ იქნება ზიზღის არჩევნები. ერთი ყველას წინააღმდეგ არ იქნება გაერთიანება. თუ ხელისუფლება ხელოვნურად არ ჩაერევა საარჩევნო პროცესში, შესაძლებელია ერთხელ და საბოლოოდ წარსულს ჩაბარდეს გაუგონარი წინასაარჩევნო ციებ-ცხელება, გაუგონარი ვნებათაღელვა და ერთმანეთის დაუნდობელი ლანძღვა-გინება.

***— გამოდის, ყველაფერი კარგად არის?***

— მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლება მაინც ცდილობს, თავისი წინამორბედის გარკვეული ნაბიჯები გაიმეოროს, გარკვეული ელემენტები სახეცვლილად შეინარჩუნოს და ჰქონდეს არსენალში.

***— მაგალითად?***

— ის, რაც საარჩევნო-საოლქო კომისიებში ხდება, ვგულისხმობ „ქართულ ოცნებასთან“ აპელირებული პირების ფარულ დანიშვნას თითქოს დამოუკიდებელ, ნეიტრალური კომისიის წევრებად. ეს ჩვენ გამოვიარეთ. ეს „ოცნების“ ძალიან დიდი შეცდომაა. ყველა მათგანი ან გამგეობის, ან საკრებულოს თანამშრომელია, ან „ქართული ოცნების“ აქტივისტები. ეს სურათს ტრაგიკულად ვერ შეცვლის, მაგრამ მსგავსი ნაბიჯები თუ მოხშირდა და „ქართულმა ოცნებამ“ გოგორიშვილ-მაჭავარიანის სტილში გადაწყვიტა არჩევნების ჩატარება, მაშინ ეს ძალიან მძიმედ შემოუტრიალდება „ოცნებასაც“ და ქვეყანასაც.

***— თუ კოალიციის შემადგენლობა შეიცვალა, ეს არჩევნებზე გავლენას იქონიებს?***

— რა თქმა უნდა, თუმცა ეს კარდინალურად ვერ შეცვლის რეალობას. კოალიცია შიგნით დეზორიენტირებულია, ყოველდღე ბატონები და ქალბატონები ფატალურ განცხადებებს აკეთებენ, ისე არიან ერთმანეთზე გადაკიდებული, რომ ოპოზიცია დუმილს ამჯობინებს. ჩვენ ვემიჯნებით ამგვარ ლანძღვა-გინებას. ერთ-ერთი ფრაქციის თავჯმდომარე გამოდის და თავდაცვის მინისტრზე ამბობს, პროკურატურაში უნდა დადიოდესო. ეს გაუგონარი და წარმოუდგენელია. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდება.

***— რატომ?***

— არავის აქვს გარანტია არც საარჩევნო სიაზე, არც მაჟორიტარობაზე. ყველამ კარგად იცის, რომ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს ამ ადამიანების ბედს, ვინ სად იქნება და როგორ.

***— ამიტომაც იძაბება სიტუაცია შიგნით?***

— ცხადია. ერთი მართვის რგოლი არ არის, ასე იყო მაშინაც, როდესაც ჩვენ კოალიციაში ვიყავით. ეს სიტუაცია დღესაც ვერ დალაგდა. ძალთა ბალანსი აბსოლუტურად მორღვეულია. ფორმალურად კოალიციას პოლიტსაბჭო მართავს, მაგრამ არავითარი მმართველი რგოლი ის არ არის.

***— თქვენი პარტია კოალიციის შემადგენლობაში რომ იყო, მაშინაც ასე იყო?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი წამოსვლიდან ეს ორი წელი განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. ჩვენ როდესაც ვიყავით კოალიციაში, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული და ეს ადამიანები ასეთი დაპირისპირებისთვის ვეღარ იცლიდნენ. როდესაც არჩევნები მოახლოვდა, ეს ადამიანები ერთ გუნდად არავინ შეკრა და ბატონი ბიძინა აქტიურ პოლიტიკას განერიდა, მოხდა ის, რაც მოხდა. მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ბატონი ბიძინას ამ გადაწყვეტილებას. შეუძლებელია, სამ თვეში ერთხელ შეხვედრით ასეთი მდგომარეობა დაარეგულირო.

***— რასთან გვაქვს საქმე?***

— იდეოლოგიური დაპირისპირება, პიროვნული დაპირისპირება, ამბიციათა ჭიდილი და არსებული სიძნელეები. ეს არის ის, რასაც ვხედავთ. როდესაც ხელისუფლება დეზორიენტირებულია, ეს, ცხადია, ბუნებრივად ასხამს ოპოზიციის წისქვილზე წყალს. დღეს ამომრჩევლის 60 პროცენტი გაურკვევლობაშია, ვერ მიუღია გადაწყვეტილება, ვის დაეყრდნოს. ესეც ერთ-ერთი სიახლეა ამ არჩევნებზე, რაც არასდროს ყოფილა.

***— ბატონო გია, ამ არჩევნებში თქვენი პარტიის ძლიერი მხარე რა არის?***

— სხვები როდესაც ლაყბობდნენ, ჩვენ საქმეს ვაკეთებდით. ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდებით ადამიანებს და ჩვენს სათქმელს ვეუბნებით. 7-8 თვე ყოველდღიურ რეჟიმში ვაშენებდით ჩვენს პარტიას. თებერვალში ვასრულებთ შეხვედრებს და მარტიდან პარტია სხვანაირად გადაეწყობა. ახალი და გადახალისებული პროგრამა გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

# „შემოდგომაზე ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას გადაიბარებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— ამის დამტკიცება ხომ მარტივად შეიძლება, იპოთეკარებთან დაკავშირებით გაცემული დაპირებაც მოინახა და გამოქვეყნდა.***

— მერე რა, რომ მოიძებნა ეს დაპირება. ივანიშვილი არის ის ადამიანი, რომელიც საკუთარ სიტყვასაც კი არ სცემს პატივს. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი დღეს ქვეყნის არაფორმალური მმართველია. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი არის ერთი — ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. მოსახლეობა უნდა გამოფხიზლდეს და ცალკეულ პროცესებთან დაკავშირებით უფრო აქტიური უნდა გახდეს.

საბოლოო ჯამში, საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და ჩვენ არ გვინდა, რომ რაიმე სახის ძალადობამ დაისადგუროს. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ჩვენ შევეცდებით, არჩევნები კარგი საარჩევნო კანონმდებლობით ჩატარდეს. შევეცდებით, ბევრგან გვყავდეს დამკვირვებლები, რათა ხელისუფლებას გაყალბების შესაძლებლობა არ მიეცეს და, რაც მთავარია, შემოდგომაზე შევეცდებით, დავასრულოთ ის მმართველობა, რომელიც ქვეყნისთვის დამღუპველია.



„ციხისძირში ივანიშვილის თავგასულობას ვუპირისპირდებით“

***— თქვით, რომ შეეცდებით, არჩევნები კარგი საარჩევნო კანონით ჩაატაროთ. არის დრო ახალი კანონის მისაღებად? თანაც მმართველი ძალა ცვლილებებზე არ თანხმდება.***

— პოლიტიკური ნების შემთხვევა თუ იქნა, კანონის შესაცვლელად დრო კიდევ არის დარჩენილი. დიდი ილუზია არა მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ ისეთ ცვლილებებს შეიტანს კოდექსში, რომელიც მათ ნაკლებ შედეგს მოუტანს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურობაზე. შესაძლოა ცვლილებებზე არ წავიდნენ, მაგრამ ხალხის ნების გადასხვაფერებას ვერ მოახერხებენ.

***— ხალხის ნების გადასხვაფერებაში რას გულისხმობთ?***

— არჩევნებზე ისეთი შედეგის დადებას, რომელიც მხოლოდ მათ აწყობთ. ახლავე იცოდნენ, რომ ამას არავინ შეეგუება. 2012 წელს „ქართულ ოცნებასა“ და ივანიშვილს იმედები უკავშირდებოდა. ხალხს ეგონა, რომ ის რომელიმე დაპირებას მაინც შეასრულებდა. დღეს ყველა იმედგაცრუებულია. ისინი თუ არჩევნებზე მივლენ და სხვა პარტიებს დაუჭერენ მხარს, ხელისუფლება ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ შეძლებს არჩევნების გაყალბებას.

***— ის ამომრჩეველი, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ იმედები გაუცრუა, გახდება ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი? თავის დროზე თქვენც ძალიან ბევრი მხარდამჭერი გყავდათ და თქვენც გაუცრუეთ მათ იმედები.***

— ჩვენ ჩვენს შეცდომებზე პასუხი უკვე ვაგეთ. რაც შეეხება იმას, დაგვიჭერენ თუ არა „ოცნებაზე“ გაბრაზებული მხარს, ახლა ამის პროგნოზირება შეუძლებელია. იმედგაცრუებული ამომრჩეველი მხარს სხვა პარტიებს დაუჭერს, მათ შორის იქნება ნაციონალური მოძრაობაც.

წინასაარჩევნოდ, ჩემი აზრით, იქნება ვითარება, როდესაც ხალხი დასვამს მთავარ შეკითხვას — ვის შეუძლია ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარების გამოსწორება. მომიტევოს ყველა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც დღეს პოლიტიკურ ასპარეზზეა, მაგრამ ვერცერთ მათგანში ვერ ვხედავ იმის პოტენციალს, რომ მათ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანა შეუძლიათ. ამის გამოცდილება მხოლოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს. ამის შესახებ ჩვენმა მოსახლეობამაც კარგად იცის და, დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი ჩვენ მოგვცემს ხმას. ხალხის გადაწყვეტილებით, შემოდგომაზე ხელისუფლებას გადავიბარებთ.

***— ხელისუფლებას გადავიბარებთო, ამის შესახებ რამდენიმე თვის წინაც განაცხადეთ. ამასობაში ვრცელდება მოსაზრებები და ჭორები იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ იმიტომ იქცევა ასე, რომ საკუთარი ნებით აპირებს ნაციონალებისთვის ხელისუფლების გადაბარებას. ამაზე რისი თქმა შეიძლება?***

— ხელისუფლებას აუცილებლად გადავიბარებთ, ოღონდ — ხალხის ნების შესაბამისად. სხვა ყველა განცხადება, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე გარიგებას ეხება, აბსურდული ჭორია.

***— მართალია, ხელისუფლების გადაბირებას აპირებთ, მაგრამ, ფაქტობრივად, ლიდერის გარეშე ხართ დარჩენილი. მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს და თანაც უკრაინაში დიდ ამბებშია ჩართული. შეძლებს პარტიის დახმარებას?***

— ის ყოველთვის ჩვენ გვერდით არის. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთად გავიმარჯვებთ. ახლა მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში დიდ ბრძოლაშია ჩართული. 2 წლის წინ იქ ხალხმა იმიტომ მოაწყო მაიდანი, რომ რეალური ცვლილებები და კორუფციის დამარცხება სურდათ.

უკრაინის ახალი მთავრობა, სამწუხაროდ, არამცთუ ეფექტური არ აღმოჩნდა, არამედ დიდწილად თავად არის კორუფციაში ჩართული. იქ არის დიდი საპროტესტო მუხტი, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა მიხეილ სააკაშვილია. ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ უკრაინაში სერიოზული ცვლილებები მოხდეს. თუ ეს ცვლილება მოხდა, სააკაშვილის პერსონა პირველხარისხოვანი იქნება.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს 2 მიმართულებიდან უნდა შევხედო. ის, რაც ხდება, თავად უკრაინელებისთვის არის უმნიშვნელოვანესი და მეორე, ის არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის. უკრაინაში მოპოვებული გამარჯვება მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის განვითარების ახალი ბიძგის მიცემის შესაძლებლობას ნიშნავს.

# მაკკეინი: „მოახლოებულ არჩევნებს საქართველო-აშშ-ის ურთიერთობაზე დიდი გავლენა ექნება“

საქართველოში რუსული პროპაგანდის გაზრდასთან დაკავშირებით ამერიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებულ განცხადებას ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი გამოეხმაურა.



სენატორის თქმით, პუტინი საქართველოს ოკუპაციას განაგრძობს და ქვეყნის ტერიტორიაზე გავლენას აძლიერებს. საქართველო-აშშ-ის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ის ფაქტი, თუ რამდენად თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები:

— რუსეთის აგრძელებს საკუთარი ტერიტორიის გაზრდას, განაგრძობს საზღვრების გადაწევას საქართველოს ტერიტორიის შიგნით. მოახლოებულ არჩევნებს დიდი გავლენა ექნება ბევრ ფაქტორზე, მათ შორის საქართველო-აშშ-ის ურთიერთობაზე. ჩვენ ველოდებით თავისუფალ და გამჭვირვალე არჩევნებსა და თანამშრომლობას საქართველოს ხელისუფლებასთან. ჩვენ ვიცით, რომ პუტინი განაგრძობს საქართველოს ოკუპაციას და აძლიერებს გავლენას საქართველოს ტერიტორიაზე, — განაცხადა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა.

**ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კავკასიაშიც გადმოვა“

გულიკო ბალაძე

მსოფლიო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა. ბრძოლის მთავარი ველი სირიაშია. იქიდან ომის ქარცეცხლი შეიძლება გავრცელდეს მსოფლიოს სხვა ტერიტორიებზეც, მათ შორის კავკასიაშიც. ამის თაობაზე გვესაუბრება ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია.

***– თურქეთსა და ამერიკას შორის უთანხმოებაა ქურთების გამო. თურქეთმა განაცხადა, რომ ის ჩაატარებს სპეცოპერაციას სირიის ქურთებით დასახლებულ რეგიონში. აღნიშნულ უთანხმოებას რა დონის გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ნატოს წევრ ორ სახელმწიფოს შორის?***

– საუბარია არა სპეცოპერაციაზე, არამედ სირიის ტერიტორიაზე ინტერვენციის მოწყობაზე. თურქეთი და საუდის არაბეთი აპირებენ, შეიჭრან სირიაში, შესაბამისად, ამით მოაგვარონ ასადის რეჟიმის გადაყენების საკითხი ძალისმიერი გზით. ამის შესახებ განცხადება გააკეთეს საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, რომ თუ ისინი აიღებენ თურქეთის მოსაზღვრე ქალაქსა და სხვა მიმდებარე ტერიტორიას, ისინი მაშინვე განახორციელებენ ინტერვენციას. ისინი უკვე შეიჭრნენ და თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში მიდის ბრძოლები ქურთ მეამბოხეებსა და თურქეთის სეკულარულ არმიას შორის. როგორც ისინი ამბობენ, შეიჭრებიან იმისათვის, რომ დაიცვან თურქულენოვანი მოსახლეობა.



***– პარალელურად რუსეთი რომ ატარებს სახმელეთო ოპერაციებს?***

– რუსებს სირიაში ჰყავთ 5.000 კაცი, თუმცა ისინი ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. სხვადასხვა ინფორმაციით, სირიაში 5 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურეა. მათგან ზოგს მოხალისის სტატუსი აქვს, ზოგი კერძო სამხედრო კომპანიის სახით. რუსეთში არის კანონი სამხედრო კომპანიების შესახებ, რომლის თანახმად, ნებისმიერ კერძო კომპანიის თანამშრომელს შეუძლია სამხედრო მოსამსახურეების დაქირავება სხვადასხვა მიზნით, იმავე სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

***– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სირიის ტერიტორიაზე რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირება შეიძლება მოხდეს?***

– რუსეთსა და თურქეთს შორის ჯერ დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტზეა საუბარი. რუსეთი, ფაქტობრივად, ეხმარება ქურთ მეამბოხეებს სირიელი ქურთების კომუნისტური პარტიის შენაერთებზე. აქვეა სირიის ქურთისტანის დემოკრატიული მოძრაობის სამხედრო ნაწილები, რომლებიც, ფაქტობრივად, შეეკვრნენ მოსკოვს, გააფორმეს ალიანსი და ახორციელებენ კოორდინირებულ ოპერაციებს იმისათვის, რომ თურქეთ-სირიის სასაზღვრო ზოლი გააკონტროლონ. ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებში შედის.

***– ამერიკაც ქურთებს უჭერს მხარს. როგორ შეესაბამება ამერიკის ინტერესი თურქეთისა და რუსეთის ინტერესებს?***

– ქურთებმა ალიანსი ამჯობინეს რუსებთან, ვიდრე ამერიკელებთან. ეს უკვე ფაქტია. საუბარია სირიელ და არა ერაყელ ქურთებზე. ქურთებმა ფსონი დადეს მოსკოვზე და უკვე მიიღეს შეიარაღება, ფინანსური დახმარება. სირიის ქურთების დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი მოსკოვშია და ყველა ოპერაციას მოსკოვის ხელისუფლებასთან ათანხმებს.

***– მაშინ თურქეთმა რატომ გააკეთა მკაცრი განცხადება ამერიკის მისამართით?***

– აქ პრობლემა ზოგადად ქურთებთან დაკავშირებითაა, რადგან ქურთების ინტერესებს აშშ იცავს.

***– თუ ამ ბრძოლაში ამერიკაც ქურთებს უჭერს მხარს, რუსეთს კარტბლანში ჰქონია.***

– აბსოლუტურად გეთანხმებით, რუსეთს კარტბლანში აქვს. ამერიკა იძულებული გახდა, მოლაპარაკება დაეწყო ლავროვთან, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისთვის მიეღწიათ, რაც იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთმა წარმატებით განახორციელა სამხედრო ოპერაცია სირიის ქურთისტანის ტერიტორიაზე.

***– ვითარების ესკალაცია მოსალოდნელია?***

– ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. ლოკალური ტიპის სამხედრო ოპერაციებს რომ ექნება ადგილი, ფაქტია. სიტუაცია კონტროლიდან გამოდის.

***– ესკალაციაში რუსეთსა და თურქეთს შორის ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა ვიგულისხმე.***

– გასაგებია. აქ ყველა ვარიანტში საქმეში ამერიკელები ჩაერთვებიან, ამიტომ სირია შეიძლება საკმაოდ სერიოზული დაპირისპირების ადგილი გახდეს და პროცესები კავკასიაშიც გადმოვიდეს.

***– კავკასიაში როგორ?***

– რუსეთ-თურქეთს შორის დაპირისპირებამ შეიძლება კავკასიურ მასშტაბებსაც მიაღწიოს.

***– რა სახით შეიძლება მოაღწიოს დაპირისპირებამ კავკასიაში?***

– ეს რომ არ იქნება პოლიტიკურ-დიპლომატიური სახის დაპირისპირება, ფაქტია.

***– შესაძლებელია, იმ რეგიონებში, სადაც ადრე ომის გარკვეული მაგალითები იყო, კონფლიქტებმა კვლავ იფეთქოს?***

– ეს რეალური სცენარია. თუ თურქეთი და საუდის არაბეთი შეიჭრნენ სირიაში, ეს გამოიწვევს სერიოზული ომის მასშტაბებს. აქ უკვე საუბარია პროთურქულ, პროარაბულ და პრორუსულ კოალიციებს შორის დაპირისპირებაზე, სადაც ამერიკა ვერ იქნება გულხელდაკრეფილი, მით უმეტეს, რომ რუსეთსა და ნატოს შორის დაძაბულობა უკიდურეს მდგომარეობამდეა მისული.

***– შეიძლება ამერიკაც სახმელეთო ოპერაციებში ჩაერთოს, როგორც რუსეთი?***

– ამერიკამ გადაწყვიტა, შეზღუდული სამხედრო ოპერაციები განახორციელოს. სირიაში გადასროლილია 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ნაწილები, რომელიც ამერიკის მთავარი დამრტყმელი ძალაა. ბრიტანელებმა იორდანიაში გადაისროლეს 1400 სამხედრო და 400 საბრძოლო ტექნიკის ერთეული.

***– თქვენ ბრძანეთ, შესაძლოა სირიის კონფლიქტის ტალღებმა კავკასიამდეც მოაღწიოსო. ამ ფონზე როგორ აღიქვით ამერიკის დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მიერ სენატში გაკეთებული განცხადება, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა ძლიერდება? რა საშიშროებას ხედავთ?***

– ამერიკის დაზვერვის დეპარტამენტის უფროსმა ეს განცხადება ამერიკა-რუსეთის დაძაბული ურთიერთობებიდან გამომდინარე გააკეთა. რუსეთი და ამერიკა დღეს მტრული სახელმწიფოები არიან. ახლახან მიუნხენის კონფერენციაზე მედვედევმაც დაადასტურა, რომ რუსეთი ცივი ომის პირობებში იმყოფება. საკმაოდ სერიოზული განცხადებაა. საქართველო პირდაპირ ცივი ომის საზღვრისპირა ტერიტორია, ეპიცენტრია.

***– თქვენ გრძნობთ რუსულ პროპაგანდას?***

– რა თქმა უნდა. რუსული პროპაგანდა არის. გავლენა აშკარად იგრძნობა.

# სოხუმელი კაზაკების ატამანი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთში მცხოვრებმა კაზაკებმა გლოვა გამოაცხადეს. სოხუმის რაიონის სოფელ კამანში ქარაფიდან გადავარდა და დაიღუპა აფხაზეთში მოქმედი კაზაკების სპეცდანიშნულების დანაყოფის მეთაური ვლადიმირ მოსკალენკო.**

**აფხაზურ მედიას ეს ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილე ტიგრან დელიბალტიანმა მიაწოდა. მისი ინფორმაციით, მოსკალენკოსთან ერთად მისი მოადგილე ვალერი ჯუმიადიც დაიღუპა.**




– ეს ტრაგედია შაბათს, 13 თებერვლის ღამით მოხდა. ამის შესახებ შეტყობინება გვიან მივიღეთ. მაშინვე გავემგზავრეთ შემთხვევის ადგილზე, სადაც 2 ცხედარი აღმოვაჩინეთ, – აცხადებს დელიბალტიანი.

საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, როცა ეს ტრაგედია დატრიალდა, კაზაკთა ატამანი და მისი მოადგილე ფეხით გადაადგილდებოდნენ.

– მათი მანქანა სულ სხვა ადგილას იდგა, ისინი კი სხვა ადგილიდან გადაცვივდნენ ქარაფიდან. გვიჭირს იმის წარმოდგენა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო, – ამბობს მინისტრის მოადგილე.

ტიგრან დელიბალტიანს ახლა მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ ქარაფის სიმაღლე, საიდანაც ატამანი და მისი მოადგილე გადაცვივდნენ, 30-40 მეტრს შეადგენდა.

იმ ფაქტმა, რომ მანქანა სხვა ადგილას იდგა და 2 ადამიანი ფეხით გადაადგილდებოდა, გარკვეული ეჭვები გააჩინა. დეტალებს, ალბათ, გამოძიება დაადგენს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა აფხაზეთში 1992-1993 წლების ომის მონაწილენი საეჭვო ვითარებაში იღუპებიან.

სოხუმის კაზაკთა ატამანი ვლადიმირ მოსკალენკო აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში.

აფხაზეთის კაზაკთა კავშირის თავმჯდომარე ვადიმ მირონენკო გამორიცხავს, რომ ატამანს აფხაზეთში მტრები ჰყოლოდა.

– ის ძალიან მშვიდი, სამართლიანი და გაწონასწორებული ადამიანი იყო. მან აფხაზეთისთვის ბევრი რამე გააკეთა, მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. მისი დაღუპვა აფხაზებისთვის დიდი ტრაგედია იქნება, – აცხადებს აფხაზურ მედიასთან საუბარში კაზაკთა კავშირის თავმჯდომარე.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, მოსკალენკო გუდაუთის რაიონის სოფელ ბაკლანოვკაში დაიბადა. მისი მშობლები ყუბანელი კაზაკები არიან, სოფელიც კაზაკებითა და აფხაზებით ყოფილა დასახლებული. სოფლისთვის სახელი კაზაკი გენერლის ბაკლანოვის პატივსაცემად დაურქმევიათ, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთ-თურქეთის ომში დაიღუპა.

გამოძიების დასრულებამდე ატამანისა და მისი მოადგილის დაღუპვის გამო, ალბათ, ბევრი ჭორი გავრცელდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ ხშირია, როცა ომის მონაწილეები გაურკვეველ ვითარებაში იღუპებიან.

რაც შეეხება მათი დაღუპვის ადგილ კამანს, ეს სოფელი, ისევე, როგორც ქართველებისთვის, აფხაზებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სოხუმის რაიონის სოფელი კამანი ხანგრძლივი ალყის შემდეგ აფხაზებმა და რუსებმა 1993 წლის 5 ივლისს აიღეს.

მოსახლეობის დიდი ნაწილი მოწინააღმდეგესთან შეტაკებისას დაიღუპა. მტერმა არც სოფლის ტაძრის წინამძღვარი მამა ანდრია ყურაშვილი დაინდო, როდესაც სიკვდილამდე მას მოსთხოვეს ეთქვა, რომ ის მიწა აფხაზების იყო, მან კი განაცხადა, რომ ის მიწა უფლის იყო. ამ პასუხის გამო მამა ანდრია დახვრიტეს.

აღსანიშნავია, რომ კამანის ტაძარში წმინდა იოანე ოქროპირის სარკოფაგია და მორწმუნენი აქ ხშირად დადიოდნენ და ახლაც დადიან.

ეს სოფელი არც კაზაკთა ატამანისთვის იქნებოდა უცხო და კარგად ეცოდინებოდა იქაურობა. ამიტომაც მისი და მისი მოადგილის დაღუპვა ბევრ ეჭვს ბადებს. აფხაზეთში სფეროებისა და გავლენების გადანაწილების პროცესს ბევრი შეეწირა. მათ შორის ყოფილი მებრძოლები ჭარბობენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რადგან იბრძოლეს, მათ რაღაც უნდა მიიღონ.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

## მიხეილ სააკაშვილი: „უგულავა, მერაბიშვილი, ახალაია ციხეში მოგონილი ბრალდებებით სხედან“



მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია ციხეში მოგონილი ბრალდებებით სხედან. მათ შეიძლებოდა დაეშვათ შეცდომები, მაგრამ მათი წვლილი დიდია იმ პროექტებში, რომლებსაც ახლანდელი ხელისუფლება თავდაპირველად დასცინოდა, ახლა კი წარმატებით იყენებს სათავისოდ:

– ხომ კარგად გავყიდეთ ჩვენი მოგონილი „დიდგორი“, რომელსაც ესენი დასცინოდნენ, უამრავი პროექტი იყო, რომელიც მოგვიკლეს. აი, ეს ხალხი ზის ციხეში და ყველანაირ ობიექტურობაზე ლაპარაკი ზედმეტია, – განაცხადა სააკაშვილმა „კურიერის“ ეთერში.

ნიუპოსტი

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „ან მამაჩემს, ან დედაჩემს ამ სკანდალის გამო რამე რომ დაემართოთ, ყველას გადაგაყოლებთ“



ნაციონალური მოძრაობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, მამამისმა სუპერმარკეტიდან პროდუქტი მოიპარა.

– ახლა მირეკავენ ჟურნალისტები და მეკითხებიან, მართლა მოიპარა თუ არა მამაჩემმა სუპერმარკეტიდან სურსათი!!! გესმით, რა მარაზმში ვართ??? რომ თავი უნდა იმართლოს 75 წლის კაცმა იმისთვის, რომ არ ქურდობდა სუპერმარკეტში.

ხელში ბევრი პროდუქტი ეჭირა და რაც ხელში არ დაეტია, ჯიბეში ჩაიდო, მაინც ხომ ერთად უნდა გადავიხადოო. ოღონდ მაღაზიიდან ისე გამოვიდა, რომ ამის გადახდა დაავიწყდა. საერთოდ აღარ მახსოვდა, ჯიბეში რომ ჩავიდეო! საუბარია ფილა შოკოლადზე და კარაქზე. ასეთი რამე ყველას შეიძლება დაემართოს! მით უმეტეს ასაკში შესულ ადამიანს.

ეს ამბავი 12 თებერვალს მომხდარა, დაცვასთან უსიამოვნო საუბარიც იყო, მას შემდეგ, რაც მამაჩემი შეწუხდა, როგორ დამავიწყდა გადახდაო, იქვე სთავაზობდა, აქვე გადავიხდი ჯარიმის თანხასაცო. და ახლა თურმე ქურდობაში სდებენ ბრალს??!! აბსურდსაც ხომ ზღვარი აქვს??!! ძალიან ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ ამით მე რამე პოზიციას შემაცვლევინებთ! უბრალოდ, დიდი ბოდიში მამაჩემს და ყველა ჩემი ოჯახის წევრს, რომ ჩემ გამო წლების განმავლობაში უწევთ უამრავი უსიამოვნების ატანა და გადატანა! ან მამაჩემს, ან დედაჩემს, რომელთაც ორივეს გულის პრობლემები აქვთ, ამ სკანდალის გამო რამე რომ დაემართოთ, ყველას გადაგაყოლებთ!!! ქურდები, წამლის ბარიგები, მკვლელები და მკვლელობების შემკვეთები თქვენკენ მოიკითხეთ! როგორ ბედავთ საერთოდ მამაჩემის გარევას ამ ბინძურ კამპანიაში?! – წერს თაქთაქიშვილი სოციალურ ქსელში.

მედიანიუსი

# თინა ხიდაშელი: „ჯობია, ერთმანეთისკენ სიმართლით ვიაროთ“



– ასეთი მაღალი რანგის ტრიბუნალი თუ იტყვის, რომ საქართველოში მოხდა ეთნიკური წმენდა 2008 წლის აგვისტოში, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ყველაფრისთვის, მათ შორის კონფლიქტის მოგვარებისთვისაც, – განუცხადა მიუნხენში ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდასთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა.

– ასეთი მაღალი რანგის ტრიბუნალი თუ იტყვის, რომ საქართველოში მოხდა ეთნიკური წმენდა 2008 წლის აგვისტოში, რაც არის სრულიად ნათელი და ხელის გულზე დევს, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ყველაფრისთვის, მათ შორის კონფლიქტის მოგვარებისთვისაც, იმიტომ, რომ ყოველთვის ჯობია, სიმართლით ვიაროთ ერთმანეთისკენ, – განაცხადა ხიდაშელმა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, როგორც საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ამბობს, ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

– არ გვისაუბრია საქმეზე. ეს არ არის ამ ტიპის შეხვედრების თემა. არასოდეს მინისტრებთან და პრემიერ-მინისტრებთან პროკურორები ამ თემებზე არ საუბრობენ. ეს იყო გაცნობითი შეხვედრა, სადაც ჩვენ დავუდასტურეთ მზადყოფნა თანამშრომლობის შესახებ, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

**მედიანიუსი**

# სოსო შატბერაშვილი: „საქართველო პროდასავლური ნეიტრალური სახელმწიფო უნდა გახდეს“

*მარიამ მჭედლიშვილი*

მემარცხენე ალიანსი მიიჩნევს, რომ რეგიონსა და მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს. შექმნილ ვითარებაში მემარცხენეებს მიაჩნიათ, რომ საქართველომ პროდასავლური კურსის შენარჩუნებით სამხედრო ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს.

– მსოფლიოში შექმნილია რთული სიტუაცია. გარდა ამისა, ერთმანეთს დაუპირისპირდა საქართველოს ორი მეზობელი – რუსეთი და თურქეთი. ნატოსკენ გზა გადაკეტილი გვაქვს, მაპსაც კი არ გვაძლევენ, ამიტომ აუცილებელია გამოსავლის პოვნა. ჩვენი აზრით, ასეთი გამოსავალი სამხედრო ნეიტრალიტეტია, – განუცხადა „ახალ თაობას“ მემარცხენე ალიანსის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა.

მისი თქმით, სიტუაცია რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების შედეგად გამწვავდა. ორივე სახელმწიფო საქართველოს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებს. საქართველოს ჩარევა ამ დაპირისპირებაში დამღუპველია.

***– ნეიტრალიტეტის თემა ახალი არ არის. ჯერ კიდევ მოქალაქეთა კავშირის მმართველობის დროს იყო საუბარი იმაზე, რომ საქართველოს შემთხვევაში ეს შეუძლებელია. გარდა ამისა, ამას მეზობელი სახელმწიფოების თანხმობაც სჭირდება.***

– ნეიტრალიტეტის თემა მართლაც ძველია, მაგრამ აქამდე ვერავინ დაგვარწმუნა იმაში, თუ რატომ არის საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი შეუძლებელი. ცხელ წერტილში რომ ვართ და ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული გვაქვს, სწორედ ამიტომ სხვებზე მეტად გვჭირდება ნეიტრალიტეტი. ნატოშიც არ გვიღებენ. როგორმე ხომ უნდა დავიცვათ თავი? ჩვენ არცერთ სამხედრო კონფლიქტში არ უნდა ჩავერიოთ, მაგრამ პროდასავლური კურსი უნდა შევინარჩუნოთ. ავსტრია და შვეიცარია ნეიტრალურები არიან. საქართველოც უნდა, იყოს პროდასავლური, მაგრამ – ნეიტრალური სახელმწიფო. ამას არც მეზობლები ეწინააღმდეგებიან. ევროინტეგრაციის პროცესი ამით არ შეწყდება.



***– ვითომ მეზობელ სახელმწიფოებსაც სურთ საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტი?***

– სააკაშვილის მმართველობის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი იყო ჩამოსული თბილისში. ჩვენ, ოპოზიციონერები, მას შევხვდით. კონსტანტინე გამსახურდიამ მას ნეიტრალიტეტის თაობაზე ჰკითხა. სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ ამის შესახებ განაცხადი ჯერ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამას დუმილით უპასუხა. ამის წინააღმდეგი არც სხვა მეზობელი ქვეყნები არიან. ეს მის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა. ერთხელ ბაქოში იქაური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობას დავესწარით. იქ, ადგილობრივი პოლიტიკოსების გარდა, შევხვდით ასევე თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკოსებს. ყველა მათგანმა შესაძლებლად მიიჩნია საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტი. ეს მხოლოდ მათი პირადი აზრები არ იყო.



„რუსეთი და თურქეთი საქართველოს აქეზებენ“

***– ანუ, თქვენი აზრით, სამხედრო ნეიტრალიტეტი აუცილებელია იმისათვის, რომ სამხედრო კონფლიქტებში არ ჩავერიოთ?***

– პირველ რიგში, ამისათვის. ეს იქნებოდა ასევე ნაბიჯი ტერიტორიული მთლიანობისაკენ. სოხუმი და ცხინვალი სასტიკად ეწინააღმდეგებიან საქართველოს სწრაფვას ნატოსაკენ. ნეიტრალიტეტის შემთხვევაში ისინი ჩვენკენ მობრუნდებიან. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი, რომელიც გააჩენდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს უკვე მოსკოვის მონაწილეობით. გარდა ამისა, ნეიტრალურ სახელმწიფოში ინვესტორები უფრო ადვილად დააბანდებენ თანხებს.

***– რას ნიშნავს აშშ-ის დაზვერვის სამსახურის დირექტორ ჯეიმს კლაპერის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთის ზეწოლით სტრატეგიულ დასავლურ ორიენტაციას შეიცვლის?***

– ამაში არის სიმართლის მარცვალი. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობაში შეინიშნება იმედგაცრუება დასავლეთის მიმართ. ამას თავისი მიზეზები აქვს. ერთი მიზეზია ის, რომ დასავლეთი მხარს უჭერდა სააკაშვილის რეჟიმს, რომელიც საქართველოს მოსახლეობისათვის საძულველი იყო. მეორეც, ეს მხარდაჭერა გრძელდება. ხდება იმის ხელშეწყობა, რომ სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. კარგი იქნება, თუ ვაშინგტონსა და ბრიუსელში ამაზე ჩაფიქრდებიან და ისინი გვერდით დაუდგებიან არა სააკაშვილს, არამედ საქართველოს.


# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
## აცხადებს კონკურსს
# აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად

**ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება**

**სპეციალობა ფინანსები**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია

**სპეციალობა მენეჯმენტი**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია

**სოციალური მეცნიერებების მიმართულება**

**სპეციალობა ჟურნალისტიკა**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 3 ვაკანსია

**სპეციალობა საერთაშორისო ურთიერთობები**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 3 ვაკანსია

**მიმართულება სამართალი**

**სპეციალობა საჯარო სამართალი**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია

**მიმართულება ჰუმანიტარული მეცნიერებანი**

**სპეციალიზაცია რუსული ფილოლოგია**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია

**კონკურსი ცხადდება 2016 წლის 15 თებერვლიდან**

**აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა 2016 წლის 17 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით კონკურსანტთა საბუთების მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი სპეციალობისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე);
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. ერთი ფოტოსურათი;
5. კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
6. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
7. პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
8. ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ;
9. საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სასერტიფიკატო კურსებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა);
10. სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

**პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს;
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება.

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 5 გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორობა/თანაავტორობა;
- შესაბამის დარგში იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა;

**პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დასადასტურებლად:**

დარგში მუშაობის პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შესაბამის დარგში წამყვან თანამდებობებზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით.

**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტთა შერჩევა (კონკურსანტების დაუსწრებლად);
2. პირველ ეტაპზე შერჩეული კონკურსანტების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება/იმიტირებული ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).

**კონკურსის პირობები:**

საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში;

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ძირითად კრიტერიუმებთან კონკურსანტების განაცხადების შესაბამისობის დადგენის მიზნით დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ.

**კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 21 მარტს;**

**კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 22 მარტს;**

**შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 23 მარტს;**

**კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე:**

**ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73,**
**VII სართული, ოთახი № 712**
**ტელ.: 261-12-98; 2 30-86-41; 210-52-03**

# საქართველოში ბიზნესისთვის ხელშეწყობა იწყება

## საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანით მთავრობა ბიზნესის განვითარებაზე, ინვესტორების წახალისებასა და ეკონომიკის ზრდაზე მუშაობას იწყებს

**პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის. კანონპროექტის დადებით მხარეებს ერთხმად აღნიშნავენ ექსპერტები, ბიზნესმენები, ოპოზიციის წარმომადგენლები. მთავრობის მიერ ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ბიზნესის ხელშეწყობა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. გარდა ამისა, პარლამენტის მიერ ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, მთავრობას ბიუჯეტის ხარჯების შემცირება დაახლოებით 400 მილიონით მოუწევს.**

კონკრეტულად რაში მდგომარეობს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილების ეფექტურობა?

კანონპროექტის მიხედვით, მოგების გადასახადი ნაწილობრივი რეინვესტირების შემთხვევაში იმოქმედებს. ახალი რეგულაციის ამუშავებას მთავრობა პირველი ივლისიდან ვარაუდობს. ცვლილებების თანახმად, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდება და ასევე საგადასახადო შემოწმებას მხოლოდ საგადასახადო ორგანო განახორციელებს.

როგორც ფინანსთა სამინისტრო ირწმუნება, ხარჯების შემცირება არ შეეხება სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ნაწილებს და შეეხება მიმდინარე ხარჯების ნაწილს, რომელიც ბიუჯეტით არის განსაზღვრული. კანონი ძალაში 1 ივლისს უნდა შევიდეს. კომპანიებისთვის შედეგი დადგება წელსვე, რადგან მიმდინარე გადასახადებს კომპანიები აღარ გადაიხდიან წელსვე.

– გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივა იძლევა დამაიმედებელ მოლოდინს, რომ მომავალში კიდევ არაერთი აუცილებელი საგადასახადო თუ ეკონომიკური რეფორმის განხორციელება მოხდება. ასოციაცია განხილვებში აქტიურად ჩაერთვება, – ასეთია ბიზნესასოციაციის შეფასება.

**სოსო ფხაკაძე, ვისოლ ჯგუფის პრეზიდენტი:**

– ძალიან ბევრი ქვეყანაა და ქვეყნები ერთმანეთს ებრძვიან, მით უმეტეს დღეს, როცა გლობალურ ეკონომიკას სერიოზული პრობლემები აქვს. ქვეყნები ერთმანეთთან დიდ კონკურენციაში არიან, სად მოვა ინვესტიციები. ეს ძალიან კარგი იმპულსი იქნება. ასევე, ეკონომიკური დეკრიმინალიზაცია, რომელზეც არის საუბარი, ესეც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებს აშშ-ის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი


ლევან კალანდაძე


სოსო ფხაკაძე

საქართველოში სარა უილიამსონიც გამოეხმაურა და პრემიერ-მინისტრს ახალი რეფორმის დაწყება მიულოცა.

– ეს ცვლილება მისასალმებელია, ამაზე არაერთხელ იყო საუბარი ბიზნესწრეებში, მათ შორის, საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებაზე. ყველაფერი ეს გამოიწვევს ინვესტიციების გაზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

პრემიერმა, ესტონური მოდელის გარდა, 4 ახალი ინიციატივა წარმოადგინა, რომლის განხორციელებასაც ბიზნესი უკვე წლებია საჭიროებს. ეს ინიციატივებია:

1. აღარ მოხდება აქტივების გაყინვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე;

2. ფინანსური პოლიცია აუდიტს აღარ ჩაატარებს, – ეს შემოსავლების სამსახურის საქმეა;

3. კორპორაციებისთვის დღგ-ს დაბრუნების სპეციალური წესი იცვლება;

4. საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევა, რომელიც ბიზნესის გადახდისუნარიანობას გაამარტივებს;

ვულოცავ პრემიერსა და მის გუნდს ამბიციური და ძალიან საჭირო რეფორმების შემოთავაზებას, – აღნიშნა სარა უილიამსონმა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები აცხადებენ, რომ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შედეგად საქართველოში ინვესტიციების რაოდენობა გაიზრდება.

**ზვიად ჩაჩანიძე, თეგეტა მოტორსის ფინანსური დირექტორი:**

– მოგების გადასახადის გადავადებასთან დაკავშირებით ძალიან კარგი ინიციატივაა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ამ სფეროს წარმომადგენლები ამ რესურსს თავიანთ ბიზნესის განვითარებისთვის გამოიყენებენ.

მნიშვნელოვნად მარტივდება ადმინისტრირების ნაწილი, რომელიც ხშირ შემთხვევაში პრობლემა იყო. მოკლე ვადაში ბიუჯეტი დაახლოებით 500 მილიონამდე იზარალებს, მაგრამ საშუალო და გრძელ ვადაში ეს ინიციატივა ეკონომიკას მნიშვნელოვან პლუსს მისცემს და საბოლოო ჯამში ბიუჯეტიც მოგებული დარჩება.

**გიგა მიქაუტაძე, გადასახადის გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე:**

– დღეს კომპანია იხდის როგორც მოგების გადასახადს, ასევე შემდეგი წლისთვის ყოველთვიურად წინასწარ იხდის ავანსს ანუ თუ წელს მოგების გადასახადი ჰქონდა 1000 ლარი, ყოველ კვარტალში 250 ლარი ავანსად უნდა გადაიხადოს ანუ დამატებითი წნეხია და საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხაა კომპანიებისთვის და თუ მათ მიეცემათ საშუალება, რომ ეს თანხა ისევ კომპანიების განვითარებისთვის გამოიყენონ, ეს მხოლოდ წაადგება ეკონომიკას და გაზრდილი ეკონომიკური მაჩვენებლები, მეტი ბიზნესი ნიშნავს ნაკლებ სოციალურ პასუხისმგებლობას იმავე ხელისუფლებისთვის და პლუს მეტ შემოსავალს სხვა გადასახადებისგან, როგორიც არის ქონების, საშემოსავლო გადასახადი და ა.შ.

**ლევან კალანდაძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

– საგადასახადო კოდექსში ცვლილებების წარმოდგენილი პროექტი უდავოდ რევოლუციურია. მთავარი, რაც ამ ცვლილებებით ხდება, არის ის, რომ ხელისუფლება კარდინალურად და ფუნდამენტურად ცვლის თავის დამოკიდებულებას ბიზნესთან მიმართებით.

მთავარი აქცენტები კეთდება ქვეყანაში ბიზნესგარემოს გამარტივებასა და განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს შეუქმნის ბიზნესსა და ინვესტორებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ბიზნესის განვითარებაზე, ინვესტორების წახალისებასა და ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა. ე.წ. ესტონური მოდელი, რომელიც კომპანიების მიერ რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო პირდაპირ ასტიმულირებს და წახალისებას ახდენს კომპანიების მიერ მიღებული მოგების ისევ ბიზნესში რეინვესტირებას ანუ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ბიზნესის ზრდასა და გაფართოების მაქსიმალურად ხელსაყრელი ფინანსური პირობების შექმნაზე.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის პროცესს ბუნებრივად თან ახლავს გარკვეული რისკები, რაც 2017-2018 წლებში დასაბეგრი ბაზის შემცირებასა და საგადასახადო შემოსავლების კლების ტენდენციაში შეიძლება გამოიხატოს. ეს ის თემაა, რომელიც მთავრობის ეკონომიკური გუნდის და განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა გახდეს, მიმდინარე და შემდგომი წლების საბიუჯეტო ხარჯვითი პოლიტიკის პრიორიტეტების ოპტიმიზაციის განხორციელების კუთხით.

მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნეს 2016-2018 წლებისთვის დეტალური ფინანსური გეგმა, თუ როგორ და რა წყაროების ხარჯზე მოხდება, ერთი მხრივ, საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი დანაკლისის კომპენსირება და, მეორე მხრივ, როგორ შეიძლება განხორციელდეს საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმალური შემცირება ისე, რომ არ დაზარალდეს უკვე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სოციალური პრიორიტეტები.

# ილია II: „როდესაც ხალხი მშვიდდება, ბუნებაც მშვიდდება და პირიქით“

– ადამიანები ბუნებას ემსგავსებიან და ბუნება – ადამიანებს. როდესაც ხალხი მშვიდდება, ბუნებაც მშვიდდება და პირიქით, ადამიანი უფალს თუ დაუახლოვდება, დამშვიდდება, – ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგების დროს.

პატრიარქმა ადამიანისა და ბუნების მსგავსებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ხშირია, როდესაც ადამიანი ისევე ღელავს, როგორც ბუნება. მისივე თქმით, ადამიანის დამშვიდებისთვის საჭიროა გულწრფელი ლოცვა.

– ჩვენთან არს ღმერთი – ეს სიტყვები ბიბლიიდანაა და ებრაულად გამოითქმება, როგორც ემანუელ. როდესაც ჩვენ ამ სიტყვებს ვამბობთ, ღრმად უნდა ჩავწვდეთ სიტყვების შინაარსს. თუ ჩვენთან არს ღმერთი, ყველაფერი დამშვიდდება.

ეს ქვეყანა და ადამიანები მღელვარე ზღვას ჰგავს. ადამიანები ბუნებას ემსგავსე-



ბიან და ბუნება ადამიანებს ემსგავსება. ეს საყურადღებოა. როდესაც ხალხი მშვიდდება, ბუნებაც მშვიდდება და პირიქით, – განაცხადა ქადაგებისას პატრიარქმა.

ილია II-მ ქადაგებისას აღნიშნა, რომ დღევანდელ ადამიანს უპირველეს ყოვლისა უიმედობა ახასიათებს. ამის გამოსასწორებლად კი უფალს უნდა შესთხოვოს ადამიანმა, რომ გახსნას მათი გულები და გონება, რათა ჭეშმარიტება შეიმეცნონ.

– რა ახასიათებს დღევანდელ ადამიანს? – უპირველეს ყოვლისა უიმედობა. იმედი არ აქვს ხვალინდელი დღისა და თავისი თავის, არ იცის, რა მოელის ხვალ, ამიტომ, როცა ვლოცულობთ, უფალს უნდა ვთხოვოთ, გახსნას ჩვენი გული და გონება, რათა ჭეშმარიტება ვცნათ.

უფალი ბრძანებს – მე ვარ გზა ჭეშმარიტებისკენ. თუ ამას გავიგებთ, ჩვენ გადავრჩებით, – განაცხადა უწმინდესმა.

პატრიარქმა ადამიანი იმ ნავს შეადარა, რომელშიც ბიბლიის მიხედვით მაცხოვარი მოციქულებთან ერთად მღელვარე ზღვაში იმყოფებოდა. მისივე თქმით, თუ ადამიანი უფალს დაუახლოვდება, დამშვიდდება, ისევე, როგორც დამშვიდდა სახარების მიხედვით მღელვარე ზღვა.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ მიდის კალაძე ირანში?



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის ირანში ვიზიტის მთავარი თემა ირანული გაზის საქართველოს ბაზარზე შემოსვლა იქნება.

შესაბამისი განცხადება საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა აბბას თალებიფარმა გააკეთა.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმება ხელს შეუწყობს საქართველო-ირანს შორის ურთიერთობებს და უფრო მასშტაბური გახდება ჩვენი თანამშრომლობა. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში იგეგმება საქართველო ვიცე-პრემიერის კახა კალაძის ვიზიტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, რაც აჩენს იმის პერსპექტივას, რომ ენერგომატარებლების მხრივაც კარგი თანამშრომლობა გვექნება, – აცხადებს ირანის ელჩი საქართველოში.

კახა კალაძის ირანში ვიზიტი მიმდინარე კვირას შედგება.

**მედიანიუსი**

# გერმანიაში 70-მდე ქართველი დეპორტაციის მოლოდინშია

გერმანიაში, ქალაქ ბილეფელდთან ახლოს მდებარე თავშესაფარში, 70-მდე ქართველი დეპორტაციის მოლოდინშია. მათ შორის არიან ბავშვებიც, რომელთაგან ერთ-ერთი 2 თვის ჩვილია.

როგორც რუსთავი 2-თან საუბრისას ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, ადგილზე იმყოფებიან ადამიანები, რომლებმაც გერმანიაში დევნილის თავშესაფარი მოითხოვეს, რაზეც ქვეყანამ უარი უთხრა და ისინი სხვადასხვა დროს მიიყვანეს სპეციალურ თავშესაფარში და მოსთხოვეს, 1 კვირის განმავლობაში დაეტოვებინათ გერმანია.

ქართველები განმარტავენ, რომ მათ უკან წამოსასვლელი ფული არ აქვთ და ითხოვენ ვითარებაში გარკვევას, რატომ ეთქვათ




უარი გერმანიაში დარჩენაზე. მათი თქმით, დევნილის სტატუსის მინიჭება ქართველებისთვის თებერვლის შემდეგ განსაკუთრებულად გამკაცრებულია.

**ინტერპრესნიუსი**

# რეკრეაციულ ტერიტორიებზე ნარგავების თვითნებური გაჩეხა დაჯარიმებას გამოიწვევს

რეკრეაციულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების თვითნებური გაჩეხა და გადაბელვა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

ამასთან დაკავშირებით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ სპეციალური მუხლი ემატება, რომლის მიხედვით, კანონმდებლობით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე, დაცული ტერიტორიის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების ჩათვლით (გარდა სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისა და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიებისა), მწვანე ნარგავების თვითნებური ჭრა ან გადაბელვა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 2.000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით.

საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის, რომელიც პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა. პროექტის ავტორი ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტროა.

როგორც მთავრობა განმარტავს, პროექტის მიღების გადაუდებელი აუცილებლობა განპირობებულია სარეკრეაციო ტერიტორიებზე არსებული მწვანე ნარგავების გახშირებული ჭრისგან დაცვისა და მათი შენარჩუნების საკითხის მყისიერად მოწესრიგების საჭიროებით. მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიებზე ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ხეების ჭრა, რითაც შეუქცევადი ზიანი ადგება გარემოსა და ხსენებული ტერიტორიების ტურისტულ მიმზიდველობას.

„ადამიანთა დასვენება და მათი რეკრეაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, თავის მხრივ, მოიცავს როგორც კულტურული, ასევე ბუნებრივი კომპლექსებით სარგებლობას. შესაბამისად, სარეკრეაციო ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების უკანონო ჭრისგან დაცვა აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისთვის, რათა სარეკრეაციო ტერიტორია, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, მიმზიდველი დარჩეს დამსვენებლებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ტერიტორია დაკარგავს რეკრეაციულ და ესთეტიკურ ღირებულებას“, – აღნიშნულია განმარტებით ბარათში, რომელიც კანონპროექტს თან ერთვის.

**ინტერპრესნიუსი**

# სანდრო ბრეგაძე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს

## „ერთსქესიანთა ქორწინებაზე პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობაა“

ნონა ცაბაძე

მოძრაობა „ეროვნულების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, სანდრო ბრეგაძე, ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გამოდის და რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში ამ ცვლილების განხორციელება არჩევნებამდე ვერ ესწრება, რადგან ინიციატივას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, ამიტომ საჭირო გახდა რეფერენდუმის ჩატარება.

**სანდრო ბრეგაძე:**

– ეს დიდი ისტორიაა, იმდროინდელი, როდესაც ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტი შეიქმნა, რომელსაც დასაბამიდან ხელმძღვანელობდა გიგა ბოკერია. ეს იყო უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟის ქვეშ. სწორედ მათგან დაიწყო ეს ყველაფერი, ეს პროცესები და საკმაოდ სერიოზულად დაფინანსებული არიან ეს ძალები. მათი მთავარი მიზანია, რომ იარსებოს ტერიტორია საქართველომ, მაგრამ მასში არ იცხოვრონ ქართველებმა. სწორედ მათ მიერ არის ინიცირებული მთელი ეს პროპაგანდა და მთელი ეს პროცესები, რაც შეეხება ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინებას.

***– თქვენ რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოდიხართ და უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რას მოითხოვთ?***

– საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, თამამად ვიტყვი 95%, წინააღმდეგია ერთსქესიანთა ქორწინების. ეს არის თვალშისაცემი და ძალიან კარგი. რაც შეეხება პროცესებს, იმისათვის, რომ ქართველოფობთა და ქართველების მტრების ეს ვერაგული განზრახვა არ შესრულდეს, არ არის საჭირო არანაირი ეგზალტაცია, ჩხუბი და დავიდარაბა. ეს უნდა დარეგულირდეს კანონით, ხოლო ქვეყანაში ყველაზე დიდი კანონი კონსტიტუციაა.

***– ანუ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას ითხოვთ?***

– მოძრაობა „ეროვნულებმა“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მე გახლავართ, ბატონ ზვიად ტომარაძესთან ერთად შევიმუშავეთ კონსტიტუციური შესწორების პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტში შევიტანეთ.

***– რას გულისხმობს ეს შესწორება?***

– ის თავის თავში გულისხმობს, რომ 36-ე მუხლი განისაზღვროს შემდეგნაირად: ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი ერთობა, რომელიც ემყარება თანასწორობის პრინციპებს. ეს არის იურიდიულად საკმაოდ გამართული ტექსტი, რისთვისაც ბატონ ზვიად ტომარაძეს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ ტექსტის შედგენაში. სხვათა შორის, შესწორების ეს ვარიანტი დაახლოებით ექვსი თვეა უკვე პარლამენტშია.

***– რატომ გაჭიანურდა ან როგორია საკანონმდებლო ორგანოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– ჩვენდა სამწუხაროდ, თაროზე იყო შემოდებული. ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ყოფილი პრემიერის დამოკიდებულებაც ამ თემაზე.

***– სწორედ ირაკლი ღარიბაშვილმა არ გააჟღერა, რომ კონსტიტუციაში ეს ცვლილება უნდა შევიდეს? თუმცა არ დასცალდათ ამის განხორციელება.***



– ეს სწორედ ყოფილ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა იყო, თუმცა შემდგომში სხვადასხვა მიზეზის გამო ხდებოდა ამ საკითხის გაჯანჯლება.

***– დღეს რა პოზიციაა ხელისუფლებაში, იზიარებენ ყოფილი პრემიერის ინიციატივას?***

– მე შემიძლია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო დეპუტაციასა და მთავრობის წევრებზე გითხრათ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, თითქმის ყველა, მომხრეა ამ საკონსტიტუციო შესწორების, მაგრამ არსებობს გარკვეული ფობია და შიში, ჩვენდა სამწუხაროდ და ამაზე ღიად შეიძლება ლაპარაკი, რომ თითქოსდა არსებობენ რაღაც ძალები, რომლებისთვისაც მიუღებელი იქნება ეს, რომ შესაძლოა კოალიციაში პრობლემები შეიქმნას და ასე შემდეგ. ამ შიშისა და გადაუწყვეტელობის გამო რატომღაც გაჩხერილი იყო ეს შესწორება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

***– ანუ პარლამენტი და მთავრობა ვიღაცას უწევს ანგარიშს, ეშინიათ, ის ვიღაც არ გაანაწყენონ?***

– ასეა. ჩვენ თავიდან მოვახდინეთ ამ საკითხის აქტუალიზაცია, ხელახალი ინიცირება და ამ ინიციატივით ჩვენ შევედით პარლამენტში. თუმცაღა დღეს პარლამენტში საკმაოდ უცნაურ შემთხვევას ვაწყდებით. მე გახლავართ მთავრობის წევრი, ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, მოძრაობა „ეროვნულები“, რომელიც ინიციატორია ამისა, გახლავთ „ქართული ოცნების“ პარტნიორი ორგანიზაცია და, ჩემდა სამწუხაროდ, მე დავინახე გარკვეული კონკურენციის მომენტები.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ვიღაცებმა იფიქრეს, რომ მათ მიერ შემოტანილი არ უნდა იყოს ეს საკონსტიტუციო შესწორება და მოდით, ჩვენ შევიტანოთ, რომ ჩაგვეთვალოს ეს ყველაფერი. მე მანამდეც განვაცხადე და დღესაც ვაცხადებ თქვენი გაზეთის საშუალებით, მე მივმართავ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და სწორად გაიგებს ჩემს მიმართვას.

***– რა მიმართვას?***

– რომ ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ამ საკონსტიტუციო შესწორებას დაერქმევა სანდრო ბრეგაძის სახელი, დავით უსუფაშვილისა თუ გია ვოლსკის. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შედეგი დაგვიდგება, რადგანაც ეს შედეგი ძალზე მნიშვნელოვანია. ეს შედეგი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის სასიცოცხლო რამ არის. ოღონდ ეს კანონი მიიღონ და ვინც უნდათ, ის ჩათვალონ ამ კანონის ინიციატორად! თუ უნდათ, ერის მამადაც გამოვაცხადებ. ჩემთვის წინა პლანზე არ დგას პოლიტიკური ანგაჟირება და კონკურენციის მომენტები. ამით ქულების ჩაწერას არ ვაპირებ. ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. ეს არის მორალურ-ზნეობრივი და რელიგიური საკითხი. ვისი სახელიც უნდა დაარქვან, ოღონდ მიიღონ. 76 ხელმოწერას უკვე ვიხვეწები ერთი კვირაა.

***– არის პარლამენტში ის განწყობა, რომ შეიტანონ ეს საკონსტიტუციო ჩასწორება?***

– 76 ხმის პრობლემა პარლამენტში არ დგას. მე ვიცი, „ქართული ოცნების“ დეპუტაციის აბსოლუტურ უმრავლესობას ერთი სული აქვს, ამას ხელი მოაწერონ, თუმცა იქ არის რაღაც პოლიტიკური ნიუანსები.

***– რესპუბლიკელები რამდენად წავლენ ამაზე? ამბობენ, რომ ისინი ამის წინააღმდეგ მიდიან.***

– მე ამიტომაც მივმართე უსუფაშვილს, რადგან ზუსტად ვიცი, რომ ერთადერთი რესპუბლიკელები არიან, რომლებიც ჭოჭმანობენ ამ საკითხზე. თავად გახდეს უსუფაშვილი ამის ინიციატორი და თავად გააკეთოს ეს ყველაფერი. ჩვენ ვერ გადავაყოლებთ პოლიტიკურ კინკლაობას იმას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი არ გადავწყვიტოთ.

საკითხი იმდენად გაჯანჯლდა, რომ ამის მიღება საპარლამენტო არჩევნებამდე უკვე შეუძლებელი ხდება. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ დავარეგისტრიროთ ცესკოში სარეფერენდუმო კითხვა. ძალიან მალე შეიკრიბება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ძალიან საინტერესო ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ჩვენ შევალთ ამ ინიციატივით და გარწმუნებთ, 200 ათას ხელმოწერას ძალიან მალე მოვაგროვებთ, რადგან პარლამენტის გზით ვერ მოხერხდა, აუცილებლად გადავწყვეტთ რეფერენდუმის გზით!



# არსენ ავაკოვი: „საჯარო კონფლიქტამდე სააკაშვილი პოლიტიკურ თანამშრომლობას მთავაზობდა“

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვის თქმით, ოდესის გუბერნატორი მიხელ სააკაშვილი ცნობილ საჯარო კონფლიქტამდე მას პოლიტიკურ თანამშრომლობას სთავაზობდა.

ამის შესახებ ავაკოვმა უკრაინული გამოცემა „ზერკალო ნედელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ამ მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემს კაბინეტში იჯდა და მთავაზობდა: „მოდი, შევთანხმდეთ, შენ პრემიერი იყავი, მე პირველი ვიცეპრემიერი გავხდები“. ვკითხე მას: „და რატომ მე?“ ის მპასუხობს: „ვფიქრობ, პრემიერად „სახალხო ფრონტის“ წარმომადგენელი უნდა დაინიშნოს, ან ტურჩინოვი, ან შენ. შენ ხომ ყველაზე წარმატებული მინისტრი ხარ“, – განაცხადა ავაკომა.



მინისტრის თქმით, სააკაშვილი, შინაარსობრივად პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ოპოზიციაში გადავიდა და მიზანმიმართულად გაუძლვა პოლიტიკურ ბლოკს.

**მედიანიუსი**

# თელავში გაზის ტარიფის შემცირების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

თელავის რაიონში გაზის ტარიფის შემცირების მოთხოვნით ნაციონალურმა მოძრაობამ 14 თებერვალს ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.



პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველის განცხადებით, ხელმოწერებს მთავრობასა და ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგენენ. ისინი ითხოვენ, კომპანია „ვისოლმა“ შეცვალოს გადაწყვეტილება და 1-ლი აპრილიდან მომხმარებელს ერთ კუბურ მეტრ გაზზე 48 თეთრის ნაცვლად 59 თეთრი არ გადაახდევინოს.

– როგორც ჩანს, ხელისუფლება არ აპირებს იმ გადაწყვეტილების შეცვლას, რა გადაწყვეტილებაც მიიღო თელავში გაზის გაძვირებასთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ ყველა სოფელში და ქალაქ თელავში ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას, რათა ხალხის პროტესტი მივიტანოთ მთავრობამდე და ენერგეტიკის სამინისტრომდე, რომ შევაცვლევინოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი ბოტკოველმა.

როგორც კომპანია „ვისოლის“ თელავის სერვისცენტრის დირექტორმა დავით ჯერმიზაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, აღნიშნული ცვლილება იმ აბონენტებს შეეხებათ, რომლებმაც ბუნებრივი აირი სახლებში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შეიყვანეს. ტარიფის მოსალოდნელი გაზრდის შესახებ კომპანია „ვისოლმა“ აბონენტებს შეტყობინება უკვე გაუგზავნა.

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, „ვისოლის“ გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია. მისივე თქმით, ხელისუფლება მუშაობს იმაზე, რომ ყველა მოქალაქეს ერთნაირი ტარიფი ჰქონდეს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# იანვარში საქართველოში ოჯახური ძალადობის 172 შემთხვევა დაფიქსირდა

შს სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაციით, 2016 წლის იანვარში საქართველოს მასშტაბით ოჯახური ძალადობის 172 შემთხვევა დაფიქსირდა, გაიხსნა – 65 საქმე. შსს-ს მონაცემებით, იანვარში საქართველოში სულ 3.183 დანაშაულია რეგისტრირებული, აქედან გახსნილია 1.211. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულის რიცხვი 3.95%-ით არის გაზრდილი.



შს სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წლის იანვარში საქართველოში ქურდობის 777 ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 278 გაიხსნა; ძარცვის 35 ფაქტიდან გაიხსნა 24; ყაჩაღობის 26 ფაქტიდან გამოძიებულია 15; თაღლითობის 70 ფაქტიდან გამოძიებულია 26; ჯანმრთელობის დაზიანების 456 ფაქტიდან გახსნილია 180, აქედან 14 ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაა; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ რეგისტრირებული 25 დანაშაულიდან გახსნილია 18.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ რეგისტრირებული 39 დანაშაულიდან გაიხსნა 10, აქედან, 3 საქმე თავისუფლების უკანონო აღკვეთა იყო; საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი 159 დანაშაულიდან გახსნილია 91, აქედან 8 ხულიგნობის, ხოლო 1 კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია; ნარკოტიკული დანაშაულის 408 ფაქტიდან გამოძიებულია 348; სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი 148 დანაშაულიდან 13 გახსნილია. განზრახ მკვლელობის 13 ფაქტიდან გაიხსნა 10; გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ დარეგისტრირებულია 23 დანაშაული, გახსნილია 12.

2016 წლის იანვარში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2.125 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1.103 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 51.91%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული მატება +1.87%.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## რომის პაპი და რუსეთის პატრიარქი ერთმანეთს ჰავანაში შეხვდნენ

კუბის დედაქალაქ ჰავანაში რუსეთის პატრიარქისა და რომის პაპის შეხვედრა შედგა.

ეს იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისა და რომის პაპის პირველი შეხვედრა.

ორივე ეკლესიის განცხადებაში ნათქვამია, რომ პატრიარქი კუბას ოფიციალური ვიზიტით ეწვია, მექსიკისკენ მიმავალი პაპი კი ჰავანაში დროებით შეჩერდა.



რომის პაპი ფრანცისკი და რუსეთის პატრიარქი კირილე ერთმანეთს გადაეხვივნენ, შემდეგ კი ერთმანეთი სამჯერ გადაკოცნეს.

პაპისა და პატრიარქის საუბრის პირველი ნაწილი სირიას შეეხებოდა.

პატრიარქმა კირილემ და პაპმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც გმობს ძალადობას სირიაში.

საუბრის მეორე ნაწილი უკრაინას შეეხებოდა. პაპმა და რუსეთის პატრიარქმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სადაც ნათქვამია, რომ ომი დონბასში, რომელმაც უკვე ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უნდა შეწყდეს, დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუსხდნენ და ყველა პრობლემა ამ გზით გადაწყვიტონ.

დეკლარაცია ყველა მხარეს მოუწოდებს, ძალადობაზე უარი თქვან.

საუბარი დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობის გაძლიერებასაც შეეხო. ეკლესიები სავსეა. მრევლში განსაკუთრებით ახალგაზრდობა ჭარბობს. იხსნება ახალი ეკლესიები. პატრიარქმა და რომის პაპმა ამას განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი.

– საუბარმა ძმურ ატმოსფეროში ჩაიარა, – ასე შეაფასა რუსეთის პატრიარქთან შეხვედრა რომის პაპმა.

## თურქებმა ალეპოსთან ქურთ მებრძოლებს ცეცხლი გაუხსნეს

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა სირიაში სახმელეთო ოპერაციისთვის ემზადება. თურქეთის შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. თურქეთს მხარს საუდის არაბეთიც უჭერს, რომელიც ასევე მზადაა, სირიაში სახმელეთო ოპერაცია განახორციელოს.



– საუდის არაბეთის არმიის ნაწილები უკვე თურქეთში იმყოფებიან, ბაზაზე, რომელსაც აშშ სირიაში ისლამისტების პოზიციების დასაბომბად იყენებს, – განაცხადა ჩავუშოღლუმ.

თურქმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს ქურთების პოზიციებს ალეპოსთან. თურქულმა არტილერიამ დაბომბა სოფლები, რომლებიც ქურთებმა დაიკავეს, აგრეთვე ალეპოს მახლობლად მდებარე სამხედრო-საჰაერო ბაზა.

მანამდე ის სირიელ პარტიზანებს ეკავათ, მაგრამ ქურთმა მებრძოლებმა აიძულეს, იქაურობა დაეტოვებინათ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ციხის ზედამხედველი ქალი მოძალადე პატიმართან ერთად გაიქცა



შვეიცარიაში წარმოშობით სირიელი პატიმარი ჰასან კიკო, რომელიც არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის იყო მსჯავრდებული, ციხიდან დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელ ქალ ანგელა მაგდიჩისთან ერთად გაიქცა.

პოლიცია ვარაუდობს, რომ 32 წლის მაგდიჩის 27 წლის კიკო შეუყვარდა და ამიტომ ციხიდან გაქცევაში დაეხმარა. ისინი გამოსასწორებელი დაწესებულების ტერიტორიიდან ღამით დაიკარგნენ, როდესაც მაგდიჩის შეეძლო, თავისი ადგილი ისე დაეტოვებინა, რომ კოლეგები საქმის კურსში არ ჩაეყენებინა. სავარაუდოდ, ძებნილებმა ქვეყნის ტერიტორია უკვე დატოვეს.

– მცველებს პატიმრებთან მხოლოდ პროფესიული ურთიერთობა უნდა აკავშირებდეთ, მაგრამ ზოგჯერ ისეთი მომენტიც დგება, როდესაც მათთან გულითადი გასაუბრების აუცილებლობა წარმოიშობა. ეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს, თუმცა, ამავე დროს, გარკვეული დისტანციის დაცვაც აუცილებელია, რათა მსგავსი რამ არ მოხდეს, – განაცხადა ციხის დირექტორმა როლანდ ცურკირჩენმა.

2014 წლის ნოემბერში ჰასან კიკოს 15 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის ოთხწლიანი პატიმრობა მიესაჯა.

## რიჩარდ ბრენსონს თავს სკატები დაესხნენ



კუნძულ დიდი კაიმანის მახლობლად ცურვის დროს კორპორაცია ვირჯინ გროუპის დამაარსებელ რიჩარდ ბრენსონს თავს სკატები დაესხნენ.

მილიარდერმა რამდენიმე დამწვრობა მიიღო, რის შემდეგაც ვირჯინ ქომში საკუთარ ბლოგში დაწერა, რომ ის „ზვიგენებმა დაკბინეს" (სკატები და ზვიგენები ერთ ქვეკლასს განეკუთვნებიან).

– ჩვენ წყლის დამცველთა ღონისძიების აქტივისტ გაი ჰარვის შევხვდით, რათა ერთად ახლოდან დაგვეთვალიერებინა სკატები. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, ისევე, როგორც მარჯნის რიფები და ტროპიკული თევზები, მაგრამ რატომღაც სკატებმა მე მიმიჩნიეს მათ საკვებად, – განაცხადა 65 წლის ბრენსონმა.

ბიზნესმენის თქმით, ტრავმები მეტად მტკივნეული აღმოჩნდა, თუმცა, როგორც თავადვე აღნიშნა, ის მაინც გააგრძელებს მონაწილეობას ამ სახეობის თევზების პოპულაციის დაცვის კამპანიებში.

აღსანიშნავია, რომ ოდნავ მოგვიანებით ბრენსონი კიდევ ერთხელ დაშავდა. ის კუნძულზე მდებარე საიუველირო ნაწარმის მაღაზიაში მიდიოდა მეუღლისთვის საჩუქრის შესაძენად, რა დროსაც შუშის კარს თავით დაეჯახა. მინის ნამსხვრევმა მას შუბლის არეში მიაყენა ჭრილობა და ექიმებს მისთვის ნაკერების დადება მოუხდათ.

## „მის ზიმბაბვეს" მონაწილეებს ბიბლიაზე დააფიცებენ



სილამაზის კონკურს „მის ზიმბაბვეს" ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, მისი მონაწილეები ბიბლიაზე დააფიცონ, რომ მათ ფოტო და ვიდეოგადაღებებში შიშველ მდგომარეობაში არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა.

– ჩვენ გოგონებისგან პატიოსნებას მოვითხოვთ, – განაცხადა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ტენდაი ჩირაუმ. მისი განმარტებით, შეჯიბრების მონაწილეები ბიბლიაზე ხელის დადებით დაიფიცებენ.

ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ, 2014 და 2015 წლების ფინალისტების ტაბისო პირისა და ემილი კაჩოტესთვის შიშველ მდგომარეობაში გადაღებული სურათებისთვის მათ მიერ მოპოვებული ტიტულები ჩამოერთმიათ.

ჩირაუმ ასევე განაცხადა, რომ გამარჯვებულს, თუ ის ორგანიზატორების მოტყუებას შეეცდება, ყველა ფულადი ჯილდოც ჩამოერთმევა.

## ამნეზიით დაავადებულმა კანადელმა საკუთარი სახელი და ოჯახი გაიხსენა



კანადის ქალაქ სენტ-კეტრინსის მცხოვრებმა გაიხსენა საკუთარი სახელი, რომელიც 1986 წლის შემდეგ აღარ ახსოვდა.

51 წლის მამაკაცი სოციალურ მოსამსახურესთან მივიდა და განუცხადა, რომ მას ედგარ ლატიულიპი ერქვა და წარმოშობით ონტარიოს პროვინციის ქალაქ კიტჩენერიდან იყო.

კანადელის თქმით, ის 1986 წელს 21 წლის იყო და გონებრივი გადახრები აწუხებდა. მშობლიური ქალაქიდან ნიაგარის ჩანჩქერისკენ მიმავალმა მამაკაცმა გზაში თავის ტრავმა მიიღო და დაავიწყდა, რა ერქვა და საიდან იყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში მამაკაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. დედამისი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი ინვალიდობით ისარგებლეს და მოიტაცეს.

სამი ათეული წლის განმავლობაში ლატიულიპი სენტ-კეტრინსში ცხოვრობდა და მუშაობდა, მშობლიური ქალაქიდან საათ-ნახევრის სავალ მანძილზე.

ედგარის ოჯახს აცნობეს, რომ ის ცოცხალია. მას დნმ-ის ანალიზი ჩაუტარდა, რომელმაც მისი იდენტურობა დაადასტურა, დედამისმა კი განაცხადა, რომ შვილის გაუჩინარებიდან ორი წლის განმავლობაში ნერვიულობის გამო ადგილს ვერ პოულობდა. ის თავის შვილს ჯერ არ შეხვედრია, თუმცა ამ დღეს მოუთმენლად მოელის.


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".


## გვინეტ პელტროუ ელიტურ კლუბში გინებას აკრძალავს



ჰოლივუდის მსახიობი გვინეტ პელტროუ და მისი ბიზნესპარტნიორი გერი ლენდსბერგი ლოს ანჯელესში ლონდონის ულტრაექსკლუზიური კლუბის არტს ქლაბის ფილიალს გახსნიან.

ახალი დაწესებულება გასართობებით ცნობილ ჰოლივუდის ქუჩა სანსეტ სტრიპზე გაიხსნება. ცხრასართულიან შენობაში იქნება ღია აუზი და ტერასა ბოლო სართულზე, ხოლო პირველზე განთავსდება სამხატვრო გალერეა და მაღაზიები. ასევე იქ გაიხსნება რამდენიმე რესტორანი, ფიტნეს-კლუბი და კინოდარბაზი.

კლუბის წევრობის მისაღებად მის მსურველს ორი ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ამდენივე იქნება გადასახდელი ყოველწლიური წევრობისთვის. გარდა ამისა, საჭირო იქნება არტს ქლაბის ერთი წევრის რეკომენდაცია ან დიდი ინტერესი ხელოვნებისა და მეცნიერების მიმართ.

კლუბში შემოღებული იქნება დრესკოდი და ქცევის კოდექსი. უკვე ცნობილია, რომ სტუმრებს გინება აეკრძალებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ამერიკელმა კატამ ციგაზე სრიალი ისწავლა



ამერიკის ვირჯინიის შტატის ბინადარმა კატამ, სახელად ნინძამ, რომელმაც თოვლზე ციგით დამოუკიდებლად სრიალი ისწავლა, მედიის წარმომადგენელთა ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც მისმა პატრონმა ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი გამოაქვეყნა.

ორი წლის კატა მის პატრონ ენ ერნანდესის თქმით, თავად შეხტა ციგაზე მას შემდეგ, რაც თვალს ადევნებდა, თუ როგორ ერთობოდნენ სახლის მახლობლად მდებარე გორაკიდან ციგით დაშვებით მისი პატრონები.

– ჩვენ ქუჩაში ვიყავით, ორი დღე გორაკიდან ციგით ჩამოსრიალებით ვერთობოდით, ის კი გვიყურებდა, – განაცხადა ერნანდესმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ ციგა გორაკზე თავად ააქვთ, ხოლო ამის შემდეგ კატა ყველაფერს თავად აკეთებს.

## მთვრალმა და შიშველმა ბრიტანელმა მანქანებთან კრივი გამართა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ საუთენდ-ონ-სიში ადგილობრივი ღამის კლუბის სტუმარი ტომ ო,ნილი შიშველი და მთვრალი ქუჩაში გამოვარდა და გვერდით ჩავლილ მანქანებს თავს ესხმოდა. ამ მოვლენის ამსახველ რგოლში ჩანს, თუ როგორ დგება მოკრივის პოზაში 32 წლის მამაკაცი და მანქანებს მუშტებს უქნევს, მოგვიანებით კი ის თავს შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს დაესხა.

მამაკაცს ჯარიმის სახით 300 ფუნტის გადახდა მოუწევს (დაახლოებით 432 დოლარი), ხოლო თუ რას მოხმარდება მის მიერ გადახდილი ჯარიმა, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

**მკურნალობა**

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის" ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა" –ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7" – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: ალმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ევროპის თასი საქართველოსთვის მცირეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გორც ჩანს, აქცენტი არა მარტო ახალგაზრდებზე, არამედ შედეგზეც კეთდება.

უხერხული მეტოქეობა მხოლოდ ნახევარი საათი იგრძნობოდა. ამას თან დაემატა ცუდი ტაროსი – თამაშმა წვიმაში, ძლიერი ქარის ფონზე ჩაიარა და საწყისმა 30-მა წუთმა მასპინძლების ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით ჩაიარა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მე-12 წუთზე დუდუ ქუბრიაშვილი გაგვისინბინეს და 10 წუთი ნაკლებობაში აღმოვჩნდით, თუმცა სწორედ ამ დროს გავხსენით ანგარიში – ჯარიმა მერაბ კვირიკაშვილმა გაიტანა. პორტუგალიელებმა ჯარიმითვე აღადგინეს წონასწორობა.

ერთი რამ ნათლად ჩანდა – ბორჯღალოსნები მეტოქეს შერკინებაში პირწმინდად ჯაბნიდნენ და რადგან ქარის საწინააღმდეგოდ უწევდათ თამაში, არც გაშლილი და არც ფეხით თამაში არ გამოსდიოდათ.

31-ე წუთზე მეტოქე მოედანზე კაცნაკლული დარჩა და ამ დროს უკვე ჩვენების შეჩერება ვეღარ მოახერხეს. ჯერ იყო და დერეფნიდან მოგებულ ბურთზე გიორგი ჩხაიძემ მოლს ისეთი მიმართულება მისცა, რომ მისი შეკავება პორტუგალიელებმა ვერ მოახერხეს, რასაც გიორგი თხილაიშვილის ლელო მოჰყვა, ხოლო კვირიკაშვილის გარდასახვა ქარმა კარამდე არ მიუშვა – 3:8.

მალევე ჩვენებმა დიდებული კომბინაცია გაათამაშეს ხელით, რაშიც ლომის წილი ვასილ ლობჟანიძემ დაიდო. ჩვენმა მგეზავმა ჯერ შეტევის მიმართულება შეცვალა ორჯერ, შემდეგ ფლანგზე გაინავარდა და ზედ ლელოს ხაზთან მისულმა თავისკენ გატყუებული პორტუგალიელების მიერ უმეთვალყურეოდ დატოვებული კვირიკაშვილი მოძებნა, რომელმაც ძელებს შორის დაამიწა და გარდასახვაც ჩაროზად დააყოლა – 3:15.

პირველ ტაიმში კიდევ შეგვეძლო ლელოს დადება, მაგრამ სულ უშეცდომოდ არ ჩვენ ვთამაშობდით და მომენტები გავანიავეთ.

შეცდომები გვქონდა, იმაზე მეტი, ვიდრე გვინდა. და მაინც პორტუგალიელებს ამ შემადგენლობითა და ამ შეცდომების ფონზე იოლად მოვუგეთ. ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ნაკრები ამ ტურნირისთვის გადაიზარდა.

მეორე ტაიმშიც ორი ლელო გავიდა. ჯერ თხილაიშვილმა ჩვენივე ნახევარიდან მაღალ სისწრაფეზე გაჭრა ხაზი, მაგრამ პორტუგალიელებმა 22-ის ხაზთან შეაჩერეს, სადაც საქმეში მორკინალებიც ჩაერთნენ და საბოლოოდ ზურაბ ჟვანიამ მეტოქის ჩათვლის მოედანში შეაღწია. კვირიკაშვილის გარდასახვა ისევ ზუსტი იყო – 3:22.

შემდეგ უკვე შარიქაძის ჯერი დადგა, რომელმაც 20-მატჩიანი მშრალი სერია შეწყვიტა. სანამ შარიქაძე ლელოს დადებდა, მანამდე სანდრო თოდუამ ითამაშა ჩინებულად, რომელმაც მოედნის კიდეზე 3 პორტუგალიელის დაცვას დაუსხლტა. მეკომ ისევ ზუსტად დაჰკრა გარდასახვა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 29:3 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

ერთა თასის ორ სხვა მატჩში რუსეთმა გერმანია სოჭში 46:20 დაამარცხა, ხოლო ესპანეთმა მადრიდში უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 18:21 დამარცხდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 7 | 0 | 0 | 246:52 | 31 |
| 2.რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 162:93 | 24 |
| 3.რუსეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 171:159 | 22 |
| 4.ესპანეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 169:142 | 16 |
| 5.პორტუგალია | 7 | 1 | 0 | 6 | 69:168 | 5 |
| 6.გერმანია | 7 | 0 | 0 | 7 | 88:291 | 1 |

# ბათუმს დინამო დაეწია

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ოლიმპი – ბათუმი 101:97 (ოტ)**

**(25:28; 28:16; 17:25; 20:21; 11:7)**

მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. შეხვედრის ბედი ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა, ხოლო დამატებითი 5-წუთეულის შემდეგ ოლიმპელებმა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი 101:97 დაამარცხეს და მათი ჰეგემონია შეწყვიტეს.

პირველ ტაიმში თბილისელებმა გამორჩეული შედეგიანობა გამოიჩინეს. ლაშა ფარღალავამ 7-დან 6 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო რევაზ დიდიამ 3-დან – 3. ოლიმპმა დიდ შესვენებამდე 11 სამქულიანი მიითვალა და 9-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 53:44.

მესამე მეოთხედი ბათუმელთა აქტიურობით დაიყო და უკვე 3 წუთში ანგარიში გათანაბრდა – სტუმრებმა დროის აღნიშნული მონაკვეთი 11:2 მოიგეს. ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაგრძელდა და საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე ლეონიდ სტეპანიშინის 5 ქულის შემდეგ ბათუმი 87:81 დაწინაურდა. აჭარლები გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, თუმცა ოლიმპი არ დანებდა. ამას დაერთო ბათუმელების ტაქტიკურად გაუმართავი თამაში, რასაც მატჩის ბოლო წამზე ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა. 3 ქულით ჩამორჩენილმა ოლიმპელებმა სამქულიანი კი ააცილეს, თუმცა რეზო როგავამ მოხსნა, პერიმეტრზე ავიდა და საფინალო სირენის თანხლებით სამქულიანი ჩააგდო – 90:90.

დამატებით დროში ფსიქოლოგიურად გატეხილმა ბათუმელებმა ვეღარ მოახერხეს მოსაგებად განწყობა, ოლიმპიელებმა კი შორი სროლებით გასამარჯვებლად საკმარისი ქულების მითვლა და უაღრესად საჭირო მოგება მიითვალეს.

ოლიმპში 26 ქულით ბომბარდირი ლაშა ფარღალავა გახდა. 23 ქულა მიითვალა რეზო როგავამ, ხოლო ლესლი სმიტის ანგარიშზე 11 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა. ბათუმში 33 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო იყო უკრაინელი იგორ კრივცოვი.

**ქუთაისი – რუსთავი 61:73**

**(11:17; 13:12; 19:25; 18:19)**

ამ გუნდების ბოლო შეხვედრა ორიოდე კვირის წინ თასის გათამაშებაში გაიმართა და ის მეოთხედფინალური მატჩი რუსთაველებმა 71:66 მოიგეს. საჩემპიონატო შეხვედრაშიც გამარჯვებულები ქვემო ქართლელები გამოვიდნენ, რითაც იმერულ კლუბს საკუთარი უპირატესობა ქუთაისში ზედიზედ მეორედ დაუმტკიცეს.



მატჩის პირველი მეოთხედი რუსთაველთა უპირატესობით წარიმართა. საწყისი მეოთხედი სტუმრებმა 17:11 მოიგეს, თუმცა მეორე პერიოდის შუაწელში მასპინძლებმა ჩამორჩენა გააბათილეს და 1 ქულით დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ დროებით – რუსთაველებმა მატჩის სადავეები დაიბრუნეს და დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 29:24.

მეორე ტაიმში ბროლა არ შედგა. ლაშა გამყრელიძის შედეგიანი თამაშის წყალობით რუსთაველებმა მასპინძლები წელში გატეხეს. გამყრელიძემ ზედიზედ 3 სამქულიანი ჩააგდო, რითაც ქვემო ქართლელებს მესამე პერიოდის 25:19 მოგებაში დაეხმარა და ბოლო ათწუთეულის წინ სტუმართა 11-ქულიანი ლიდერობა დაფიქსირდა – 54:43. ბოლო პერიოდში ვითარება არ შეცვლილა. რუსთაველებმა ლიდერობა წარმატებით შეინარჩუნეს და საბოლოოდ 12 ქულით გაიმარჯვეს.

რუსთაველებს 24 ქულით და 7 პასით ლაშა გამყრელიძემ ულიდერა. 17 ქულა დააგროვა ნიკოლა გაჩეშამ, ხოლო ამერიკელი კაელ ტურპინის ანგარიშზე 10 ქულა და 18 მოხსნა დაგროვდა. ქუთაისელთაგან 14-14 ქულით ივან მიკულიჩი და გოგა ცეკვავა გამოირჩნენ.

**დინამო – მგზავრები 86:63**

**(13:17; 24:9; 21:18; 28:19)**

მაყურებელმა მხოლოდ პირველ მეოთხედში იხილა ბრძოლა, რის შემდეგაც დინამოელები დაწინაურდნენ და ხელჩასაჭიდი უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ.

არადა, ზუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა პირველი პერიოდი 17:13 მოიგეს და მაყურებელიც საინტერესო ბრძოლის მოლოდინში იყო, თუმცა მეორე ათწუთეულში დინამოელებმა თამაში დაალაგეს და სოლიდურ უპირატესობას დაეპატრონნენ. მეორე პერიოდის 24:9 მოგებით ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამო დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი ლიდერობით გავიდა და მას შემდეგ მეტოქე ახლოს აღარ მიუშვიათ.

დინამომ საბოლოოდ 86:63 იმარჯვა და ცხრილის სათავეში ბათუმს გაუთანაბრდა. დინამოელთაგან 18 ქულით საუკეთესო იყო ნოდარ გოგოძე, 17 ქულა მოაგროვა ჯუეველ მაილსმა, ხოლო 14 – გიორგი შარაბიძემ. მგზავრებში 23 ქულით ავთო ლომინაშვილი გამოირჩა.

**აკადემია – სოხუმი 74:89**

**(19:20; 15:22; 19:21; 21:26)**

აკადემიელები მატჩის დებიუტში 8:0 დაწინაურდნენ, თუმცა სოხუმელებმა ნელ-ნელა თამაში დაალაგეს და გააზრებული შეტევებით ანგარიში ჯერ შეამცირეს, მეორე პერიოდიდან კი ლიდერობის განმტკიცებას შეუდგნენ.

სწრაფად და შედეგიანად ირჯებოდა სოხუმის ამერიკელი უკანახაზელი ფილიპ მილერი, რომელიც თავადაც უხვად იხვეჭდა ქულებს და პასებსაც გამოზომილად არიგებდა. წინა ხაზში ვაჟა კვარაცხელიას გუნდს ტანმაღალი სერგო ათუაშვილის და გიორგი ჯგერენაიას ეიმედებოდა, ეროვნული ნაკრების წევრი ლევან ფაცაცია კი წინა და უკანა ხაზის საიმედო შემაერთებელი იყო და არც საშუალო მანძილებიდან აცილებდა ხშირად მიზანს.

დიდი შესვენებისთვის სოხუმი 42:34 იგებდა და ანგარიშში დაახლოებით ეს სხვაობა იყო ბოლო პერიოდის დასაწყისში, თუმცა აკადემიას დაცვა მოიშალა, სოხუმელებმა გაქცევა მოაწყვეს და მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მათი ლიდერობა 20 ქულას ასცდა. თამაშმა აზრი დაკარგა და ორივე გუნდის მწვრთნელებმა მოედანზე სათადარიგოებს უხმეს.

სოხუმში 22 ქულით ბომბარდირი გახდა ფილიპ მილერი, 15 ქულა და 14 მოხსნა სერგო ათუაშვილმა მიითვალა. 19 ქულით აკადემიაში საუკეთესო იყო ჯეიარ სთროუბრიჯი, ხოლო კრის ფელჩერმა 12 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 17 | 11 | 6 | 1333-1263 | 28 |
| 2.დინამო | 17 | 11 | 6 | 1215-1151 | 28 |
| 3.ქუთაისი | 17 | 10 | 7 | 1294-1236 | 27 |
| 4.სოხუმი | 17 | 9 | 8 | 1318-1211 | 26 |
| 5.მგზავრები | 17 | 9 | 8 | 1228-1293 | 26 |
| 6.ოლიმპი | 17 | 8 | 9 | 1260-1275 | 25 |
| 7.რუსთავი | 17 | 7 | 10 | 1251-1281 | 24 |
| 8.აკადემია | 17 | 3 | 14 | 1240-1429 | 20 |

# საქართველოს ევროპული ფრენბურთის მაღალჩინოსნები სტუმრობდნენ

საქართველოს ორ დღეს სტუმრობდნენ ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ბორიჩიჩი და ვიცეპრეზიდენტი რენატო არენა.

ვიზიტის მიზანი 2017 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია ფრენბურთში, რომელიც საქართველოში გაიმართება. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი ამ მნიშვნელოვან ტურნირს აზერბაიჯანელებთან ერთად უმასპინძლებენ და თბილისში ერთი ჯგუფის მატჩები გაიმართება.

მსგავსი დონის ტურნირისთვის დამოუკიდებელ საქართველოს აქამდე არ უმასპინძლია. სტუმრებსაც სწორედ იმის ნახვა სურდათ, რამდენად არის საქართველო მზად ამისთვის. განსაკუთრებით სპორტული ნაგებობების თვალსაზრისით და თბილისში ყველა შესაძლო ვარიანტი მოინახულეს – ძველი სპორტის სასახლე, ახალი სპორტის სასახლე და ახალ თბილისში მდებარე ფრენბურთის დარბაზი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

## 13 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-მანჩესტერი ............ 2:1
ბორნმუთი-სტოკი ............ 1:3
კრ.პალასი-უოტფორდი ............ 1:2
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი ............ 0:1
ნორვიჩი-ვესტ ჰემი ............ 2:2
სუონსი-საუთჰემპტონი ............ 0:1
ჩელსი-ნიუკასლი ............ 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 25 | 15 | 8 | 2 | 47-27 | 53 |
| 2.ტოტენჰემი | 25 | 13 | 9 | 3 | 45-19 | 48 |
| 3.არსენალი | 25 | 14 | 6 | 5 | 39-22 | 48 |
| 4.სიტი | 25 | 14 | 5 | 6 | 47-26 | 47 |
| 5.მანჩესტერი | 26 | 11 | 8 | 7 | 33-24 | 41 |
| 6.საუთჰემპტონი | 26 | 11 | 7 | 8 | 34-24 | 40 |
| 7.ვესტ ჰემი | 26 | 10 | 10 | 6 | 40-31 | 40 |
| 8.უოტფორდი | 26 | 10 | 6 | 10 | 29-28 | 36 |
| 9.სტოკი | 26 | 10 | 6 | 10 | 27-32 | 36 |
| 10.ევერტონი | 26 | 8 | 11 | 7 | 46-35 | 35 |
| 11.ლივერპული | 25 | 9 | 8 | 8 | 32-36 | 35 |
| 12.ჩელსი | 26 | 8 | 9 | 9 | 38-36 | 33 |
| 13.კრ. პალასი | 26 | 9 | 5 | 12 | 27-32 | 32 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 8 | 8 | 10 | 24-32 | 32 |
| 15.ბორნმუთი | 26 | 7 | 7 | 12 | 30-44 | 28 |
| 16.სუონსი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| 17.ნორვიჩი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-50 | 24 |
| 18.ნიუკასლი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-49 | 24 |
| 19.სანდერლენდი | 26 | 6 | 5 | 15 | 32-50 | 23 |
| 20.ასტონ ვილა | 25 | 3 | 7 | 15 | 20-40 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ქპრ-ფულემი ............ 1:3
ბლექბერნი-ჰალი ............ 0:2
ბრაიტონი-ბოლტონი ............ 3:2
ბრისტოლი-იფსვიჩი ............ 2:1
ვულვზი-პრესტონი ............ 1:2
დერბი-მილტონი ............ 0:1
ნოტინგემი-ჰადერსფილდი ............ 0:2
რედინგი-ბანრლი ............ 0:0
როტერჰემი-ბირმინგემი ............ 0:0
ჩარლტონი-კარდიფი ............ 0:0
უენსდი-ბრენტფორდი ............ 4:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ბილბაო ............ 4:2
ვილიარეალი-მალაგა ............ 1:0
ვალენსია-ესპანიოლი ............ 2:1
დეპორტივო-ბეტისი ............ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 17 | 3 | 2 | 56-17 | 54 |
| 2.რეალი | 24 | 16 | 5 | 3 | 70-23 | 53 |
| 3.ატლეტიკო | 23 | 16 | 3 | 4 | 34-11 | 51 |
| 4.ვილიარეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 30-18 | 48 |
| 5.სევილია | 23 | 10 | 7 | 6 | 32-24 | 37 |
| 6.ბილბაო | 24 | 10 | 5 | 9 | 35-34 | 35 |
| 7.სელტა | 23 | 10 | 5 | 8 | 34-36 | 35 |
| 8.ეიბარი | 23 | 9 | 6 | 8 | 36-31 | 33 |
| 9.დეპორტივო | 24 | 6 | 14 | 4 | 33-30 | 32 |
| 10.მალაგა | 24 | 8 | 6 | 10 | 21-21 | 30 |
| 11.ვალენსია | 24 | 6 | 10 | 8 | 28-25 | 28 |
| 12.სოსიედადი | 23 | 7 | 6 | 10 | 31-34 | 27 |
| 13.ხეტაფე | 23 | 7 | 5 | 11 | 26-35 | 26 |
| 14.ბეტისი | 24 | 6 | 8 | 10 | 18-33 | 26 |
| 15.რაიო | 24 | 6 | 6 | 12 | 32-49 | 24 |
| 16.ხიხონი | 23 | 6 | 5 | 12 | 26-38 | 23 |
| 17.ესპანიოლი | 24 | 6 | 4 | 14 | 21-48 | 22 |
| 18.ლას პალმასი | 23 | 5 | 6 | 12 | 23-36 | 21 |
| 19.გრანადა | 23 | 5 | 5 | 13 | 25-46 | 20 |
| 20.ლევანტე | 23 | 4 | 5 | 14 | 21-43 | 17 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ლუგო ............ 0:2
ბილბაო ბ-ვალიადოლიდი ............ 0:1
პონფერადინა-ალკორკონი ............ 0:0
ხიმნასტიკი-ელჩე ............ 1:0
მირანდესი-ალავესი ............ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ჰანოვერი ............ 1:0
ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი ............ 2:0
შტუტგარტი-ჰერტა ............ 2:0
ვერდერი-ჰოფენჰაიმი ............ 1:1
დარმშტადტი-ლევერკუზენი ............ 1:2
კიოლნი-აინტრახტი ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 17 | 2 | 1 | 50-9 | 53 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 15 | 3 | 3 | 53-24 | 48 |
| 3.ლევერკუზენი | 21 | 10 | 5 | 6 | 31-22 | 35 |
| 4.ჰერტა | 21 | 10 | 5 | 6 | 29-23 | 35 |
| 5.შალკე | 21 | 10 | 3 | 8 | 30-28 | 33 |
| 6.მაინცი | 21 | 10 | 3 | 8 | 27-25 | 33 |
| 7.გლადბახი | 20 | 10 | 2 | 8 | 40-35 | 32 |
| 8.ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 31-28 | 30 |
| 9.კიოლნი | 21 | 7 | 8 | 6 | 24-27 | 29 |
| 10.შტუტგარტი | 21 | 8 | 3 | 10 | 33-41 | 27 |
| 11.ინგოლშტადტი | 21 | 7 | 5 | 9 | 14-23 | 26 |
| 12.დარმშტადტი | 21 | 6 | 6 | 9 | 22-31 | 24 |
| 13.ჰამბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-28 | 23 |
| 14.აუგსბურგი | 20 | 5 | 6 | 9 | 22-28 | 21 |
| 15.აინტრახტი | 21 | 5 | 6 | 10 | 27-37 | 21 |
| 16.ვერდერი | 21 | 5 | 5 | 11 | 25-42 | 20 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 21 | 2 | 9 | 10 | 19-31 | 15 |
| 18.ჰანოვერი | 21 | 4 | 2 | 15 | 19-36 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-კარსლრუე ............ 0:1
ჰადენჰაიმი-ზანდჰაუზენი ............ 1:1

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-ფროზინონე ............ 1:2
კიევო-სასუოლო ............ 1:1
იუვენტუსი-ნაპოლი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 18 | 3 | 4 | 46-15 | 57 |
| 2.ნაპოლი | 25 | 17 | 5 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.რომა | 25 | 13 | 8 | 4 | 47-27 | 47 |
| 4.ფიორენტინა | 24 | 14 | 4 | 6 | 42-23 | 46 |
| 5.ინტერი | 24 | 13 | 6 | 5 | 30-20 | 45 |
| 6.მილანი | 24 | 11 | 7 | 6 | 35-26 | 40 |
| 7.ლაციო | 25 | 10 | 6 | 9 | 34-34 | 36 |
| 8.სასუოლო | 25 | 8 | 11 | 6 | 29-29 | 35 |
| 9.ემპოლი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-34 | 34 |
| 10.კიევო | 25 | 8 | 7 | 10 | 30-33 | 31 |
| 11.ბოლონია | 24 | 9 | 3 | 12 | 28-31 | 30 |
| 12.ტორინო | 24 | 7 | 7 | 10 | 30-32 | 28 |
| 13.ატალანტა | 24 | 7 | 7 | 10 | 23-27 | 28 |
| 14.უდინეზე | 24 | 7 | 6 | 11 | 21-37 | 27 |
| 15.პალერმო | 24 | 7 | 5 | 12 | 26-39 | 26 |
| 16.ჯენოა | 24 | 6 | 7 | 11 | 24-28 | 25 |
| 17.სამპდორია | 24 | 6 | 6 | 12 | 36-43 | 24 |
| 18.ფროზინონე | 25 | 6 | 4 | 15 | 26-51 | 22 |
| 19.კარპი | 25 | 4 | 7 | 14 | 23-43 | 19 |
| 20.ვერონა | 25 | 1 | 12 | 12 | 21-42 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ბარი ............ 1:1
ენტელა-ტრაპანი ............ 4:0
კომო-ნოვარა ............ 1:1
კროტონე-პრო ვერჩელი ............ 1:1
ლანჩანო-მოდენა ............ 2:1
ლატინა-კალიარი ............ 1:3
ტერნანა-სალერნიტანა ............ 4:0
ჩეზენა-პერუჯა ............ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ლილი ............ 0:0
გაზელეკი-ტრუა ............ 2:3
გენგამი-ბორდო ............ 2:4
ნანტი-ლორიანი ............ 2:1
მონპელიე-ტულუზა ............ 2:0
რეიმსი-ბასტია ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 4 | 0 | 63-12 | 70 |
| 2.მონაკო | 25 | 12 | 9 | 4 | 36-28 | 45 |
| 3.ნიცა | 25 | 11 | 6 | 8 | 38-29 | 39 |
| 4.სტ.ეტიენი | 25 | 12 | 3 | 10 | 30-28 | 39 |
| 5.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 6.რენი | 26 | 9 | 11 | 6 | 34-31 | 38 |
| 7.ანჟე | 26 | 10 | 7 | 9 | 25-24 | 37 |
| 8.ლიონი | 25 | 10 | 6 | 9 | 34-27 | 36 |
| 9.ბორდო | 26 | 9 | 9 | 8 | 36-39 | 36 |
| 10.კაენი | 25 | 11 | 3 | 11 | 26-31 | 36 |
| 11.მარსელი | 25 | 8 | 10 | 7 | 35-26 | 34 |
| 12.ბასტია | 26 | 10 | 4 | 12 | 25-29 | 34 |
| 13.ლილი | 26 | 6 | 13 | 7 | 20-20 | 31 |
| 14.ლორიანი | 26 | 7 | 10 | 9 | 35-38 | 31 |
| 15.გენგამი | 26 | 8 | 7 | 11 | 28-34 | 31 |
| 16.მონპელიე | 26 | 8 | 5 | 13 | 30-31 | 29 |
| 17.რეიმსი | 26 | 7 | 8 | 11 | 27-34 | 29 |
| 18.გაზელეკი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-37 | 27 |
| 19.ტულუზა | 26 | 4 | 9 | 13 | 25-44 | 21 |
| 20.ტრუა | 26 | 2 | 8 | 16 | 19-53 | 14 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მეცი-ლე ავრი ............ 0:1

**ჰოლანდია. ეირედივიზიონი**

ჰერაკლესი-ალკმაარი ............ 3:6
როდა-ტვენტე ............ 0:1
ტილბურგი-გრააფსხაპი ............ 0:0
ვიტესი-ჰერენვენი ............ 3:0

**ვიტესის მე-2 და მე-3 გოლები ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა**

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენსე-ბელენენსეში ............ 2:3
მადეირა-სპორტინგი ............ 0:4
გიმარაეში-სეტუბალი ............ 2:2

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

ჰამილტონი-დ.იუნაიტედი ............ 0:0
მოზერველი-კილმანროკი ............ 0:2
სელტიკი-როსი ............ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-ლუგანო ............ 2:1
ვადუცი-იანგ ბოიზი ............ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ზალცბურგი ............ 1:0
ვოლფსბერგერი-შტურმი ............ 0:0
ალტახი-მატერსბურგი ............ 1:2
გროდიგი-ადმირა ............ 2:2

**ბელგია. პრო ლიგა**

შარლერუა-კორტრაიკი ............ 1:1
ანდერლეხტი-ვარეგემი ............ 3:0
ლეუვენი-ლოკერენი ............ 3:0
გენკი-ბევერენი ............ 6:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ვერია ............ 0:0
პანთრათიკოსი-პლატანიასი ............ 0:2
აეკი-ოლიმპიაკოსი ............ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ბურსა ............ 2:0
ქონია-ოსმანლი ............ 1:1
მერსინი-გალათასარაი ............ 2:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ზლინი-სპარტა ............ 1:2
სიგმა-ბოჰემიანსი 1905 ............ 2:2
ტეპლიცე-პრჟიბრჟამი ............ 2:0
იაბლონეცი-იიჰლავა ............ 2:0
სლავია-ბრნო ............ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-პიასტი ............ 0:0
კრაკოვია-გურნიკი ............ 3:0
გდანსკი-პოდბესკიჟიე ............ 5:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი




# გამოვიდა ახალი წიგნი GEORGIAN MYTH-TALES

დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის" ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების" წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას" უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს".

**წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში.**

## სახელგანთქმული მოპსი წიგნს გამოუშვებს



სოციალურ ქსელებში სახელმოხვეჭილი მოპსი, სახელად დაგი, საკუთარ თავზე წიგნს გამოუშვებს. გამოცემის სახელწოდება იქნება „ძაღლი დაგი: პოპკულტურის მეფე". მასში შევა მოპსის ფოტოსურათები, რომლებიც ადრე მის ონლაინაკაუნტებში იყო დაბეჭდილი, ასევე სურათები, რომლებიც აქამდე არ გამოქვეყნებულა.

წიგნი გაყიდვაში 2016 წლის 1 ნოემბერს გამოვა. მისი ელექტროვერსია 9,99 დოლარი ეღირება, ხოლო მაგარყდიანი გამოცემის ფასი 16,99 დოლარი იქნება.

დაგის პატრონებმა, ამერიკის ქალაქ ნეშვილის მცხოვრებლებმა ლესლი მოზიემ და რობ კიანელიმ, მომავალ გამოცემას „ნებისმიერი ჟურნალების მაგიდის მშვენება" უწოდეს.

დაგის ინსტაგრამ-აკაუნტს 1,4 მილიონი ხელისმომწერი ჰყავს, ხოლო ფეისბუქში მის სიახლეებს თვალს 3,7 მილიონი ადამიანი ადევნებს.

## მთვრალმა მშობლებმა საჭესთან ცხრა წლის გოგონა დასვეს



ამერიკის ვისკონსინის შტატის მცხოვრებმა წყვილმა საკუთარი პიკაპის საჭესთან თავიანთი ცხრა წლის გოგონა დასვეს. ბავშვისთვის მანქანის მართვის ჩაბარება მშობლებმა იმის გამო გადაწყვიტეს, რომ თავად ორივე სერიოზულად ნასვამი იყო. ამასთან, მათ გარდა, მანქანის სალონში 11 თვის ბავშვი იმყოფებოდა. ამ ინფორმაციას ოლქის სასამართლოს მონაცემებზე დაყრდნობით ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

საქმის წინასწარი მოსმენა უკვე გაიმართა. მათზე 36 წლის ჯეისონ როტმა და 32 წლის ამანდა ეგერტმა თავი დამნაშავედ არ ცნეს იმაში, რომ საკუთარი გაუფრთხილებლობით ბავშვების სიცოცხლე საფრთხის წინაშე დააყენეს.

პოლიციამ შეტყობინება მიიღო ქაოსურად მოძრავ ავტომობილზე. ადგილობრივი შერიფის თანაშემწემ ორი მოზრდილი და ორიც ბავშვი უკვე გაჩერებულ მანქანაში აღმოაჩინა. როდესაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა შეიტყო, რომ მანქანას ცხრა წლის გოგონა მართავდა, მისი მშობლები დაუყოვნებლივ დააპატიმრა. აღმოჩნდა, რომ გოგონას მშობლები და ახალშობილი სახლში მიჰყავდა. ამავე დროს, ეგერტს შესაძლოა სხვა ეპიზოდშიც წაუყენონ ბრალი, რომელიც იმავე დღეს უფრო ადრე მოხდა. საქმე ის არის, რომ ის ექიმებს ეჩხუბა, რომლებიც მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მივიდნენ (ქალმა ხელი თოვლმავალზე სეირნობისას დაიშავა).

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ვინ არ უშვებს გიორგი უშიკიშვილს ფოლკლორის ცენტრში?



მას შემდეგ, რაც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის თანამდებობიდან გიორგი უშიკიშვილი გაათავისუფლეს, ის ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას ტელევიზიით განაგრძობს. „სხვა შუადღეში" გიორგის მიჰყავს რუბრიკა, რომელიც საქართველოს უნიკალურ საგანძურს – ფოლკლორს ეძღვნება.

ერთ-ერთი ბოლო გადაცემა უშიკიშვილმა ქართული ფოლკლორის ოქროს ფონდს მიუძღვნა და მაყურებელი იმ ფონდებში ამოგზაურა, სადაც უძველესი ჩანაწერებია დაცული. რეპორტაჟში ფოლკლორის ცენტრთან დაკავშირებით კი გიორგი უშიკიშვილმა განაცხადა, რომ შენობაში ვერ შევა, რადგან არასასურველი სტუმარია:

გიორგი უშიკიშვილის განცხადებას საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი გამოეხმაურა:

– გადაცემა „სხვა შუადღეში" გადაცემის ერთ-ერთმა წამყვანმა გიორგი უშიკიშვილმა მოამზადა სიუჟეტი, სადაც ავტორმა გამოაჩინა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის შენობა და აღნიშნა, რომ ვერ შევიდოდა ამ შენობაში, რადგან არცთუ ისე სასურველი სტუმარი იყო.

ამ განცხადების საპასუხოდ გვსურს განვაცხადოთ, რომ: გიორგი უშიკიშვილისათვის არავის შეუქმნია პრობლემა ცენტრის შენობაში მოხვედრასთან დაკავშირებით. მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ბატონი გიორგი აღარ იკავებს ცენტრის დირექტორის თანამდებობას. მას არ მოუმართავს თხოვნით ან ოფიციალური წერილით, სადაც ითხოვდა ან შეხვედრას, ან რაიმე სახის ინფორმაციას. შესაბამისად, გიორგი უშიკიშვილის განცხადება მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძველს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კესარია აბრამიძე ბოდიშის მოხდას ითხოვს

კესარია აბრამიძე ბოდიშის მოხდას ითხოვს. ის გადაცემა „ფეის ტაიმის" წამყვანმა გააბრაზა, რომელმაც მისი პირადი გაასაჯაროვა. კესარია ბოდიშის ოფიციალურად მოხდას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში ჩივილს აპირებს.



**კესარია აბრამიძე:**

– ეს არის გადაცემა, სადაც ზედმეტის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს. მარაზმში გადადის ეს ყველაფერი. რა უფლება აქვს წამყვანს, როცა ტლიკინებს ჩემს პირადზე. ბოლომდე გავყვები და ვუჩივლებ, თუკი ბოდიშს არ მოიხდის...

ზოგადად, მეგონა, რომ ეს მარაზმი ეთერში არ მოხვდებოდა!!! აშკარაა, რომ მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევენ საკუთარ თავს!!! ძაან გაბლატავდა ქართული თავხედი მედია!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 15 თებერვლისათვის



**ვერძი** – დღეს, სავარაუდოდ, ცხოვრებისეული პრინციპების დათმობა მოგიწევთ. მოვლენები თქვენთვის არასასურველი კუთხით შეიცვლება. სერიოზული ცვლილებები გელით პირად ცხოვრებაშიც. **კურო** – ნებისმიერ სიტუაციაში მაქსიმალური თავშეკავება გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. **ტყუპები** – ახალგაცნობილი ადამიანები თვალს აგიხელენ და თქვენს შესაძლებლობებსა და უნარს დაგანახებენ. ნუ აჩქარდებით. **კირჩხიბი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ წყლის პროცედურები. **ლომი** – აქტიურად დაიცავით საკუთარი ავტორიტეტი. ემოციების გამოვლენა დაგაზარალებთ. დათრგუნეთ ამპარტავნობა და რამე საქმეს მოჰკიდეთ ხელი. **ქალწული** – ეს დღე აღინიშნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციებით. თქვენს საქმეში ნურავის ჩარევთ. **სასწორი** – ფრთხილად იყავით, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები. ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – რუტინული სამუშაოს შემდეგ მთელი დრო ოჯახის წევრებს დაუთმეთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ბავშვებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში სიახლეები გაქვთ. საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში ახალგაცნობილი ადამიანები დაგეხმარებიან. **თხის რქა** – ძალზე დაძაბული დღეა. ნერვებს არ აჰყვეთ. ქალებს ელით ახალი ნაცნობობა, რომელიც შესაძლოა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. **მერწყული** – ჯანმრთელობის მხრივ მცირე პრობლემები გაქვთ. გადაღლილობის გამო ემოციების მოძალებას გრძნობთ. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **თევზები** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. სამსახურში თქვენს დისციპლინირებულობასა და შრომისმოყვარეობას ხელმძღვანელობა სათანადოდ დააფასებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## საქართველოს ევროპული ფრენბურთის მაღალჩინოსნები სტუმრობდნენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ევროპის ფრენბურთის მამები განსაკუთრებით აღფრთოვანებული დარჩნენ ახალი სპორტის სასახლით და იქვე გადაწყვიტეს რომ მატჩები სწორედ იქ ჩატარდება. ასევე გადაწყდა, რომ ოთხივე გუნდი სასტუმრო ასტორიაში დაბანაკდება.

სპორტული ბაზების გარდა, სტუმრებმა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს სპორტული მუზეუმებიც მოინახულეს და ცხადია, მათ ხელმძღვანელებსაც შეხვდნენ. თავდაპირველად სტუმრები ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა მიიღო. საპატიო ევროპელ სტუმრებს ახლდა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჩაჩუა.

**ლერი ხაბელოვი:**

– ჩვენთის დიდი პატივია ევროპის ჩემპიონატის ორგანიზება და მასპინძლობა. მემკვიდრეობა და გამოცდილება, რომელიც დაგვიტოვა ევროპის ახალგაზრდულმა ფესტივალმა „თბილისი 2015"-მა, ბუნებრივია გვაძლევს იმის იმედს,რომ 2017 წელს თბილისში გასამართი ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მაღალ დონეზე ჩატარდება. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გამოხატავს მზადყოფნას გაუწიოს დახმარება საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას აღნიშნული ღონისძიების წარმატებით ორგანიზებაში.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში ფრენბურთის პოპულარიზაციაზე და მისი მხარდაჭერის აუცილებლობაზე. ითქვა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია მწვრთნელების გადამზადება და ცოდნის გაღრმავება ამ სფეროში.

სპორტის სამინისტრომ მხარდაჭერა აღუთქვა ქართულ ფრენბურთს და გადაწყდა, რომ სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე ერთობლივად იფიქრებენ.

## სკანვორდი



1. ერთგვარი მაიმუნი; 2. ქალაქი საფრანგეთში; 3. ზომიერი ტემპი მუსიკაში; 4. ქალის სამოსი; 5. აბელის მკვლელი; 6. კოლხი მედეას დედა; 7. კურორტი ბორჯომთან; 8. „... ერგასის დღე"; 9. ტყის მსხალი; 10. მუზეუმი მადრიდში; 11. მსახიობი; 12. პოლიტიკური გაერთიანება; 13. სასტუმრო; 14. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 15. წყლის ფრინველი; 16. ეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი; 17. რუკების კრებული; 18. მდინარეზე გადასასვლელი ნაგებობა; 19. სვეტის ფორმის ძეგლი; 20. თამარ ციციშვილის კინოროლი; 21. ღირებულება; 22. აბზინდის არაყი; 23. ... ტაილერი; 24. ... კლაუსი; 25. ზედმეტი ტვირთი; 26. ... რიშარი; 27. ბოლო ნოტი; 28. ანტარქტიკაში გავრცელებული დიდი ფრინველი; 29. კანფეტი; 30. ღვინის საცავი; 31. ხელოვნური ბოჭკო.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ლიპტონი"; 2. კრევეტი; 3. პიკადელი; 4. ფირუზი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. ტრავერსი; 13. ბეიძინი; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. ოკრიბა; 20. ბუზუკი.

**თარაზულად:** 6. „ქიმერიონი"; 7. ჰიმალაი; 8. პიარნუ; 10. ზოსტერა; 11. დაბა; 14. კვესტურა; 15. ყარაყუმი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. „ბურჟე"; 23. არაგვი; 24. კისინჯერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰოლდინგი; 2. „ფერხისა"; 3. სტუკო; 4. ლიგნიტი; 5. „ბარამბო"; 10. პასკვილი; 11. ეფრემვერდი; 12. „სიმენსი"; 15. პარტიტურა; 16. სკეტჩი; 17. ბურნაკუ; 20. ცერნი.

**თარაზულად:** 6. კონცენტრატი; 7. ზინდანი; 8. ბრონქსი; 9. ონიქსი; 13. მოლა; 14. „აფონია"; 18. „დეპორტივო"; 19. „ბურჟე"; 21. სეიფი; 22. ფიორდი; 23. კუსტურიცა; 24. კვადრიგა.

# ნიუ იორკის კრიმინალურ სასამართლოში პროცესს ქართველი მხატვარი დახატავს



ახალგაზრდა ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი ფართო საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც მისი ნამუშევარი „მედუზა“ სოთბის აუქციონზე სოლიდურ ფასად გაიყიდა. ლევანი თანამედროვე არტკრიტიკოსების ფავორიტია და მას პროფესიონალები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ლევანს ბევრი შემოთავაზება აქვს და მათ განხორციელებას ეტაპობრივად აპირებს. ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი კი მისი გულშემატკივრებისთვის ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა:

– ორშაბათ საღამოსთვის „ქალაქ ნიუ იორკის კრიმინალურ სასამართლოში“ ვარ დაბარებული... მხატვრის აპლუაში, სასამართლო პროცესის დასახატად, – განაცხადა მხატვარმა.

დაიბეჭდება თუ არა ამერიკულ პრესაში ქართველი მხატვრის ნახატი, ჯერჯერობით უცნობია. ლევანის ვარაუდით, სასამართლო პროცესი მნიშვნელოვან საქმეზე მიმდინარეობს, ამიტომ, გამორიცხული არ არის, მისი ნამუშევრები ამერიკის წამყვანი ბეჭდური მედიის ფურცლებზე მოხვდეს.

# 94 წლის მარიკა ლორთქიფანიძე ლექციებს ატარებს



ცნობილი ქართველი ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე 94 წლის ასაკში ლექციებს ატარებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან „წლის პირველი საჯარო ლექცია“ წაიკითხა.

თსუ-ის ემერიტუსმა პროფესორმა და აკადემიკოსმა „წლის პირველი საჯარო ლექციის“ ფარგლებში საჯარო ლექციის თემად „რამ გადაგვარჩინა?“ შეარჩია.

საჯარო ლექცია თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ჩატარდა და მასზე დასწრება თავისუფალი იყო.

# ბაჩანა ბრეგვაძე 80 წლის ასაკში გარდაიცვალა



ქართველი მწერალი და მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას საიუბილეო თარიღი 11 თებერვალს შეუსრულდა. ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგზის მფლობელი ქართულ ლიტერატურაში ფასდაუდებელ მოღვაწედ არის მიჩნეული.

მწერალი დაჯილდოებულია ღირსების ორი ორდენით და მინიჭებული აქვს ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და დავით აღმაშენებლის პრემიები.

# თბილისის ისტორიულ გალავანს მიწა მიაყარეს



პუშკინის ქუჩაზე მდებარე ძველი თბილისის ისტორიულ გალავანს მიწა მიაყარეს. ტერიტორია, რომელიც ტურისტებისთვის ერთგვარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა, უკვე რამდენიმე დღეა სამშენებლო მოედნად არის გადაქცეული. ამის მიზეზი ორმხრივი ესტაკადის მშენებლობაა.

ამ საკითხს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი გამოეხმაურა:

– ქალაქის ცენტრში მშვენივრად პრეზენტირებული არქეოლოგიური ძეგლი მთლიანად დაიფარა. აქაურობას თუ რამე აკლდა, ძეგლის იმ ნაწილების გამოჩენა იყო, რომელიც გრძელდება მოპირდაპირე მხარესაც და შეეძლო ხელოვნების მუზეუმის ინტეგრირებაც ტურისტულ-საფეხმავლო ქსოვილში, რომელიც იდეალური იქნებოდა შემდგომ – გუდიაშვილ-„სამუზეუმო ქუჩაზეც“, მაგრამ...

ეს მიდგომა გადაწყვეტდა ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის საფრთხესაც – დღეს ერთი „ფარატინა“ კედელი ყოფს ოქროს ფონდსა და მოდრიხინე „ყვითელ ავტობუსებს“ ერთმანეთისგან. ანუ მუდმივი გამონაბოლქვი, ვიბრაცია და სხვა იმ მშვიდი და ჯანსაღი გარემოს საპირისპიროა, რაც ეროვნულ საგანძურს სჭირდება.

ძეგლი დაიფარა, დატვირთვა გაიზრდება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ამ არასწორი განვითარების ერთი, „რიგითი“ შეცდომა. ეს უფრო ციკლს ჰგავს, „პანორამა თბილისისათვის“ დაწყებულს.

არ ვიცი, ვინ რა უნდა გააპროტესტოს და როგორ უნდა იმოქმედოს, მაგრამ ეს არაჯანსაღი პროცესი რომ დაწყებულია და ვითარდება, ნათელია.

# ნიკა რურუას საბალეტო დასთან კითხვები აქვს



კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილ მინისტრ ნიკა რურუას საბალეტო დასთან დაკავშირებით კითხვები აქვს. ექსმინისტრი ახალ ინფორმაციას ავრცელებს და აცხადებს, რომ მის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საბალეტო დასი მოსკოვის დიდ თეატრში საგასტროლოდ მიემგზავრება:

– დღეს შემატყობინეს, რომ ახლახან ხელახლა გახსნილი და რესტავრირებული ოპერისა და ბალეტის დასი საგასტროლოდ მოსკოვის დიდ თეატრში მიემგზავრება.

თუ ეს ინფორმაცია მართალია, რის გარკვევასაც ვცდილობ, მაშინ ეს ქმედება არა მხოლოდ უღირსი, არამედ პრაგმატული თვალსაზრისითაც გაუმართლებელი საქციელი იქნება, რადგანაც პუტინის რუსეთი დღემდე საქართველოს ოკუპანტი სახელმწიფოა, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ გააჩნია.

ამ მნიშვნელობის კულტურული ღონისძიების ოკუპანტ სახელმწიფოში ჩატარება მხოლოდ ერთ მკაფიო სიგნალს გააგზავნის დანარჩენი მსოფლიოსა და თავისუფალი სამყაროს მიმართ, კერძოდ იმას, რომ საქართველო რუსეთისგან არაა უკანონოდ შევიწროებულ-დაჩაგრული და რომ „ყველაფერი რიგზეა“ ჩვენს ქვეყნებს შორის, რაც სინამდვილეში ასე ნამდვილად არაა.

ასევე, ეს ქმედება რუსეთს განუმტკიცებს რწმენას, რომ რაც უფრო უხეშად და მტაცებლურად მოექცევა საქართველოს, უფრო მეტ დათმობებს მიიღებს. უდავოა, რომ ამგვარი უთავმოყვარეობა უფრო მეტ აგრესიასა და ზეწოლას ეპატიჟება ჩვენს თავს პუტინის რუსეთის მხრიდან.

შევახსენებ ყველას, რომ მაშინ, როდესაც თავისუფალმა სამყარომ პუტინის რუსეთს უმკაცრესი სანქციები დაუწესა და სერიოზულად დაუპირისპირდა მას ფაქტიურად ყველა ფრონტზე, საქართველოს მხრიდან რუსეთთან ფლირტი ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის ძალიან დამაზიანებელი იქნება.

# ფიროსმანის ნახატები თეატრის სცენაზე გაცოცხლდნენ



ნიკო ფიროსმანის ნახატები თეატრის სცენაზე გაცოცხლდნენ. მარჯანიშვილის თეატრი მაყურებელს პრემიერას სთავაზობს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, დრამატული თეატრის მსახიობები და თოჯინები.

15 და 16 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე გათამაშდება „ფიროსმანი – ზმანება!“ ნიჭს არ აქვს საზღვრები! თეატრის შესაძლებლობები უსასრულოა! – ეს არის ძირითადი გზავნილები, რომლითაც შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელს პრემიერაზე ეპატიჟება.

# ანსამბლი „რუსთავი“ კორეული ტელევიზიის ფილმში გადაიღეს



ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ კორეული ტელევიზიის ფილმში გადაიღეს.

ფრიდონ სულაბერიძისა და ანზორ ერქომაიშვილის ანსამბლი ფილმში გადაიღეს, რომლის პრემიერაც გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და კორეაში გაიმართება. მის ნახვას მილიონობით მაყურებელი შეძლებს.

„საქართველოს ოდისეა“ – ასე ჰქვია ფილმს, რომელშიც აქცენტი ქართულ კულტურასა და საქართველოს ღირსშესანიშნაობებზე კეთდება.

ფილმზე სამხრეთკორეული არხის 8-კაციანი გადამღები ჯგუფი მუშაობს. გადაღებები თბილისის ისტორიულ უბნებში, კახეთში, სვანეთსა და მცხეთაში დაიგეგმა. ქართული ტრადიციები, ფოლკლორი და კულტურა – ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველომ კორეას ანსამბლი „რუსთავი“ და მისი შემოქმედება შესთავაზა.

ფილმის პრემიერა პირველად სამხრეთ კორეის საზოგადოებრივ მაუწყებელზე შედგება. ტელეკომპანიის ვებგვერდზე კი საქართველოს შესახებ 15 მოკლემეტრაჟიანი ვიდეორგოლი განთავსდება, სადაც აქცენტი ქართულ ღვინოზე, სუფრაზე, ღირსშესანიშნაობებზე, ფოლკლორსა და კულტურაზე გაკეთდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

## ორშაბათი 15 თებერვალი

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**უკანასკნელი დაქორწინებული წყვილი ამერიკაში**" (ნ.ვუდი)

**08.00** დ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **09.00** მხ/ფ "**ამალია ერჰარტი**" **11.20** ქართ. მხ/ფ "**ნატვრის ხე**" **13.00** დ/ფ "კიდევ სცადე" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **6** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**მტერი კარიბჭესთან**" (ჯ.ფაინსი) **02.30** სერ. "**პუაეტა**" **1** სერ. **04.10** ერთხელ საქართველოში **04.50** მხ/ფ "**წვეულებების მეფე - 3**" (კ. კავალარი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ქ.მხ/ფ. "**რაის ნასოსი**" **23.30, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **10.30, 2.55** ჯიდიპედია **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ახალი გოგო**" **15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30** LIVE **22.00** მზარეულები **22.30** მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" **1.00 ID Extra -** სასჯელს თითქმის გავექეცი **2.00** URBAN STORIES

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" **06.35** პატერიკი-"მოწყალე მღვდელის შესახებ" **06.45** ქართული ალბომი "ზანდუკელები" **07.20** დ/ფ "სინა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**იავნანა**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** წიგნიერების გაკვეთილები **15.50** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" I ნაწ. **17.15** დ/ფ "ირაო-მელოურის მღვიმე" **17.30** წმინდანები "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეპისკოპოსის მსახურება **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**განგაში**" **20.40** ძილი ნებისა "ასფურცელა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი-"სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ ხომლი "ძამის ხეობა" II ნაწ. **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00**"კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **07.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 16.05, 17.05, 01.00** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 02.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნუნუ ჯავახიშვილის ტკივილიანი დაბადების დღე

ჩვენო უსაყვარლესო დაიკო, ნუნუ (ნინი)! აგერ უკვე მეხუთედ გვეწვია უშენოდ 15 თებერვალი – შენი დაბადების დღე. ამბობენ, დრო მკურნალიაო. არ ვიცი, ვისთვის როგორ. მე მგონი, არ არსებობს ამქვეყნად არაფერი დოგმატური, მაგრამ, ასეც რომ იყოს, რა ვუყოთ მონატრებას, რომელიც დღითიდღე უფრო მატულობს და აუტანელი ხდება. რა აუხსნელია სამყაროს კანონები! როგორი შეუსაბამოა შენს ბუნებასთან შენი ხვედრი! სულ მიკვირს, ისეთს რა საიდუმლოს იყავი ნაზიარები, რომ ყველაფრის ახსნა შენთვის სიყვარულში იდო. შენ ისე გიყვარდა სამშობლო, საახლობლო და სამეგობრო, შეგეძლო, მათთან ერთად ცულის ტარზე მოთავსებულიყავი. ზოგჯერ ისიც კი მიკითხავს შენთვის, იურისტი და ასეთი გულუბრყვილო? გაიცინებდი და მეტყოდი: განა სიყვარული და რწმენა გულუბრყვილობააო? ამბობენ იმასაც, გულუბრყვილობა და უმანკოება ღვიძლი დები არიანო! ჭეშმარიტად! ლამაზად მკაცრი იყავი, რადგან შენს კეთილ გულს სხვანაირი სიმკაცრე არ შეეძლო!

ზეციურ სამყაროში გილოცავთ დაბადების დღეს და არ გემშვიდობებით, რადგან ვერანაირი დრო და სივრცე ვერ დაარღვევს ჩვენ შორის კავშირს!

*შენი ოჯახი*

## ზურაბ ჩიხლაძის გახსენება



40 დღე გავიდა, რაც ჩვენი მეგობარი ჩვენ გვერდით აღარ დგას, კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება ღირსეულად განვლო, კაცი, რომელიც ქალაქს დააკლდა. მიუხედავად 1983 წელს თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით მისი ძმის თემურის მიმართ ყოვლად გაუმართლებელი სასიკვდილო განაჩენისა და მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის მიერ გაჩაღებული არაადამიანური კამპანიისა მის ოჯახზე, ზურა და მისი მშობლები, ბატონი ლადო და ქალბატონი ქეთევანი, მორალურად ვერ გატეხეს. ზურაბმა ყველაფერი იღონა, რათა მისი ძმის სახელი რეაბილიტირებულიყო და დღეს ავლაბარში იმ ქუჩას, სადაც ჩიხლაძეები ცხოვრობენ, თემურ ჩიხლაძის სახელი ჰქვია.

ძალიან გვიმძიმს წარმოვიდგინოთ, რომ ზურაბი ჩვენს რიგებში აღარ არის. ვიხსენებთ მის იუმორისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, მეგობრებისადმი კაცურ დამოკიდებულებას. მან ყველგან, სადაც კი სწავლობდა და მოღვაწეობდა, ეს იყო სკოლასა და გპი-ში, მოსკოვში სამეცნიერო მოღვაწეობისას თუ მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობისას და ბოლოს, სამსხმელ-მექანიკურ ქარხანა „სხმელის“ (ყოფილი „კამოს“ ქარხანა) გენერალურ დირექტორად ყოფნისას მრავალი მეგობარი შეიძინა და ეს მეგობრობა ცალმხრივი არასდროს ყოფილა. მეგობრისადმი გვერდით დგომა მისი განსაკუთრებული თვისება იყო და სიყვარულით იყო განპირობებული. გასაკვირი არცაა, იგი მარიამობას დაიბადა და შობა დღეს გარდაიცვალა. ალბათ, ღმერთმა ასე ინება და სიყვარულის კაცისთვის სამოთხისაკენ გზა ხსნილად ჰქმნა.

დღეს მისი ოჯახის წევრები – მეუღლე, ქალბატონი დანუტა, შვილი ლადო, შვილიშვილი ზურაბი, მისი ძმისშვილი ეკა და ეკას შვილები თედი და მარი, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ, უამრავი ნათესავი, როგორც ჩიხლაძეების, ასევე გაბათაშვილების მხრივ ქედს იხრიან ზურაბ ჩიხლაძის ხსოვნისადმი.

*მეგობრები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**15 თებერვლისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4806

ევრო — 2.8003

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6100

100 რუსული რუბლი — 3.1228

**ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისთვის**




## კალეიდოსკოპი



### ბრიტანელმა 3 კილოგრამი ბლინები შეჭამა

ბრიტანელმა ადამ მორანმა 3 კილოგრამზე მეტი წონის ბლინები 18 წუთსა და 41 წამში შეჭამა. მან იუთუბიზე სახელი



გაითქვა, როგორც ბირდმითსფუდმა. მისი ახალი აქცია მსუქან სამშაბათს (ანუ ბლინების დღეს) მიეძღვნა.

გაერთიანებული სამეფოს მოქალაქემ მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ კონკურსში სახელწოდებით „20 ბლინი 20 წუთში“, რომელიც ლიდსიში გაიმართა. მან საუკეთესო შედეგის ჩვენება მოახერხა. მორანმა 20 ბლინი 18 წუთში შეჭამა ანუ ერთი ბლინის შეჭმას საშუალოდ 54 წამი მოანდომა.

ასეთი სისწრაფით კი ერთ საათში 66 ბლინის შეჭმაა შესაძლებელი. მორანმა ამ მიღწევისთვის პრიზის სახით მაისური მიიღო.



### ემირატებში ბედნიერების სამინისტრო იქმნება

არაბთა გაერთიანებული ემირატების პრემიერ-მინისტრმა და ქალაქ დუბაის მმართველმა მუჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაკტუმმა ქვეყნის ხელისუფლებაში ბედნიერების დონის განმსაზღვრელი სამინისტროს შექმნის თაობაზე განცხადება გააკეთა.

მაკტუმმა სახელმწიფო სტრუქტურების მასშტაბური რეორგანიზაციის შესახებაც ისაუბრა. მაგალითად, ქვეყანაში ზოგიერთი სამინისტრო გაერთიანდება, ასევე შეიქმნება ახალი თანამდებობები.

– ბედნიერების მინისტრი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით იქნება დაკავებული, რათა შექმნას ახალი სოციალური სიკეთეები და საზოგადოება კიდევ უფრო ბედნიერი გახადოს, – დაწერა საკუთარ ტვიტერში დუბაის მმართველმა.

გარდა ამისა, ქვეყანაში გაჩნდება რჯულთშემწყნარებლობის მინისტრის თანამდებობა. მისი შექმნის მიზანია, ქვეყანაში თვალი ადევნოს ტოლერანტობასა და რჯულთშემწყნარებლობის დაცვას, როგორც „ემირატების საზოგადოების მთავარ ღირებულებას“.

### ლონდონში სამეფო სასახლესთან უცნობმა თავი დაიწვა




ლონდონში უცნობმა მამაკაცმა კენსინგტონის სასახლის შესასვლელთან, რომელიც პრინც უილიამისა და მისი მეუღლის, ჰერცოგინია კეტრინის რეზიდენციას წარმოადგენს, თავი დაიწვა.

როდესაც სასახლესთან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მივიდნენ, უცნობისთვის დახმარების აღმოჩენა ვეღარ მოახერხეს. ის მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.

მამაკაცის ვინაობა არ სახელდება, ვინაიდან პოლიცია მისი პიროვნების დადგენას ცდილობს. ვარაუდობენ, რომ ის შესაძლოა ლონდონის ცენტრალური საავადმყოფოს ერთ-ერთი პაციენტი იყოს. შემთხვევის ღამეს დაახლოებით 40 წლის მამაკაცმა სამედიცინო დაწესებულება დატოვა. ის თავისი პალატიდან გაიქცა.

ამ შემთხვევის დროს კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია სასახლეში არ იმყოფებოდნენ.

### ჩინეთში გარდაცვლილად მიჩნეული ახალშობილი გაცოცხლდა




ჩინეთში ახალშობილი, რომელიც, ექიმების დასკვნით, გარდაიცვალა, მის კრემაციამდე რამდენიმე წუთით ადრე გაცოცხლდა.

მამრობითი სქესის ბავშვი ჩჟეცზიანის პროვინციაში ვადაზე ორი თვით ადრე დაიბადა. ექიმებმა ის ინკუბატორში მოათავსეს, სადაც მან 23 დღე გაატარა. ამის შემდეგ მშობლებმა, მიუხედავად ექიმების რეკომენდაციისა, გადაწყვიტეს, ბავშვი სახლში წაეყვანათ. მათ სურდათ, ჩინური ახალი წელი ერთად ეზეიმათ.

ორი დღის შემდეგ ბავშვი ავად გახდა. ის სამედიცინო ცენტრში დააბრუნეს. მალე ექიმებმა ბავშვის გარდაცვალება დააფიქსირეს. ცხედარი პროზექტურაში 23 საათის განმავლობაში მინუს 12 გრადუს ტემპერატურაზე იყო მოთავსებული.

მეორე დღეს, როდესაც ბავშვი საყინულე კამერიდან გამოიღეს, რათა მისი კრემაცია განეხორციელებინათ, ის მოულოდნელად ატირდა. სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ ბავშვის მშობლებს და პატარა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს.

ექიმმა ჩენმა, რომელმაც ბავშვის გარდაცვალების დიაგნოზი დასვა, განაცხადა:

– მართლაც ვერ წარმომიდგენია, როგორ მოხდა ასეთი სასწაული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## 16 თებერვლიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

## ლუის სუარესი

### ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ბარსელონის სუპერფორვარდი ლუის სუარესი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

წიგნში „ზღვარს მიღმა“ ლუის სუარესი გულწრფელად საუბრობს თავისი დამაინტრიგებელი კარიერის, ყოვლად გამოუსადეგარი ქუჩის ბიჭობიდან დიდ სცენაზე მოთამაშე ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა და იმ შეგრძნების შესახებ, რაც თითქოს აიძულებს, რომ ზღვარს გადააბიჯოს.

## ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## ევროპის თასი საქართველოსთვის მცირეა

**პორტუგალია – საქართველო 3:29**

**პორტუგალია:** პ.ბეტენკური, სოუზა-გედეში, ვარეტა, ვილელა, ნურუნია, ტ.აპლეტონი, მაგალიაი; მედეირუში, დინიზი, როშა, სერკინიუ, უვა, ვაზი, მასედუ, პურტელა

**მარქაფა:** კონდე, ტაჯერი, გრიხი, ვასალუ, ფან დერ ტორნი; ნ.ბეტენკური, ფ.აპლეტონი, დომინგეში

**საქართველო:** კვირიკაშვილი (აფციაური 68), მჭედლიძე, კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე (მალაღურაძე 56), ლობჟანიძე (ბეგაძე 58); ნარიაშვილი (ასიეშვილი 53), მამუკაშვილი (ჟვანია 21), ქუბრიაშვილი (ფეიქრიშვილი 53), ჩხაიძე, ნემსაძე (მაისურაძე 53), სუთიაშვილი, თხილაიშვილი (გორგაძე 59), ლომიძე



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტურის მატჩი ლისაბონში გამართა და პორტუგალიის ნაკრები 29:3 დაამარცხა.

მილტონ ჰეიგმა, გერმანიასთან მატჩისგან განსხვავებით, შემადგენლობაში 5 ახალი მორაგბე დააყენა და შემადგენლობა ბევრად ოპტიმალური იყო. ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან პორტუგალიელები უხერხულ მეტოქედ ითვლებიან და, რო-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## კროსვორდი




**თარაზულად:** 5. კაჟიანი თოფი; 6. დღისა და ღამის ხანგრძლივობის თანაბრობა; 10. სოფელი კასპის რაიონში; 11. თამასუქი ფულის მისაღებად; 12. საყოველთაო სახალხო გამოკითხვა; 17. საწვავი მასალა; 18. შენობის ჩონჩხი; 19. მწვანილი; 20. ხელფასი.

**შვეულად:** 1. ნარდის სათამაშო კუბები; 2. მოხსენების მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულება; 3. ცელქი, მოუსვენარი; 4. ერთგვარი ძეგლი; 7. ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ ესპანურთან ახლოს მდგომ ენაზე; 8. საკონდიტრო ნაწარმი; 9. ამა თუ იმ ენის ომონიმთა ერთობლიობა; 13. მხედართმთავარი; 14. გუდა-სტვირის დამკვრელი; 15. ქალის თმის ვარცხნილობა; 16. ჯარების სადგომი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



## იუმორი

●●●

ორი მოხუცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ანდერძში გარდაცვალების შემდეგ კრემაცია რატომ მოითხოვე?

– კუბოში თვალის გახელის მეშინია.

– და ღუმელში თვალის გახელის არა?

●●●

გამომძიებელი ეჭვმიტანილს ეკითხება:

– ამ დანას ცნობთ?

– რა თქმა უნდა, ვცნობ.

– ე.ი. ცნობთ.

– ვიცნობ, აბა, რა იქნება, უკვე მეათედ მაინც მანახებთ.

●●●

ექიმი პალატაში შედის ავადმყოფის მოსანახულებლად, ხედავს, ავადმყოფი თავის ცოლს ეუბნება:

– ჩემო ლამაზო, ჩემო ჭკვიანო, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, მსოფლიოში ყველაზე უკეთესო...

ექიმი ქალს ეკითხება:

– დიდი ხანია, რაც ბოდვა დაეწყო?

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, საკვირველია, როგორ ახერხებ სიმშვიდის შენარჩუნებას მას შემდეგ, როდესაც გეჩხუბები და გიღრიალებ?

– გავდივარ და უნიტაზს ვხეხავ.

– კი მაგრამ, ეგ როგორ გამშვიდებს?

– შენი კბილის ჯაგრისით ვხეხავ!

●●●

კაცი ცხენით მიდის, უცბად ქარი ამოვარდა. საიდანღაც გაზეთი ააფრიალა და ცხენს თვალებზე ააფარა. ცხენი დაფრთხა, გიჟივით გავარდა და პატრონი ძირს მოისროლა. კაცი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა ფეხზე და გაქცეულ ცხენს მიაძახა:

– რა წაიკითხე შიგ ასეთი, შე შობელძაღლო!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ჩემი მეგობარი ქალი, სტაბილურად იმატებს წონაში და რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

– აიძულე, ყოველდღე ხუთი კილომეტრი გაიაროს და ერთ კვირაში შენგან 35 კილომეტრით იქნება დაშორებული.

●●●

ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ეზოში გადაიხედა და ხედავს, ავადმყოფები რიგრიგობით მიწაზე დახოხავენ. თავისთან ექთანს უხმო და ამბის გასაგებად გააგზავნა. მთლიანად დასვრილი ექთანი ორი საათის შემდეგ დაბრუნდა. მთავარი ექიმი ეკითხება:

– აბა, რა გაარკვიე?

– ერთმა ავადმყოფმა ცარცით ხაზი გაავლო და თქვა, რომ 1000 დოლარს მისცემს იმას, ვინც იმ ხაზის ქვეშ გაძვრება.

– და თქვენ ასე დიდი ხანი რატომ დაგჭირდათ ამის გასაგებად?

– რა, განა 1000 დოლარი თქვენთვის ფული არ არის?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**